სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი 1 აგვისტო 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 161 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 161

ღრმათ დამწუხრებულნი დედა მარიამ, მამა ნესტორ და ალექსანდრა (ხახატა), ძმები ნიკო, პეტრე მამულაიშვილები, ბებიები მატა მიქელაძის ასული მამულაიშვილისა და პოინე ცხომელიძისა, დეიდები პელაგია ცხომელიძე და პასტი ურუშაძისა, ბიძები გიორგი, კონსტანტინე, ნიკო, ივანე და პროკოფი ცხომელიძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ 23 ივლისს (ახალი სტილით) ორი დღის ავათმყოფობის შემდეგ, სოფ. დვაბზუში (გურიაში) გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი ცქრიალა გოგონა

**ნინო (ნინუკა) ნესტორის ასული მამულაიშვილი**

(1—1)

მწუხარებით გულმოკლულნი მეუღლე ეპრაქსი, ძმა კოლია, დაი მელანია, შვილები ასმათი და თინა დოლიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ხანმოკლე მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას

**ირაკლი (ილო) ათანასეს ძე დოლიძისას**

გამოსვენების დღე დანიშნულია პარასკევს, 2 აგვისტოს, დღის 2 საათზე, ნიკოლოზის ქუჩა, № 84. დასაფლავება მოხდება იმავე დღეს წმინდა ნინოს სასაფლაოზე პანაშვიდი იქნება გადახდილი ყოველ დღეს 7 ს. (2—1)

## პროპაგანდისტების საყურადღებოთ

თფილისის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სასოფლო კომისია სთხოვს ყველა სოფლათ დაგზავნილ და აგრეთვე ადგილობრივ საპროპაგანდოთ დანიშნულ ამხანაგებს გვაცნობონ თავისი სწორი მისამართი, რათა საშუალება მოგვეცეს მივაწოდოთ ჟურნალ-გაზეთები და სხვა საჭირო ლიტერატურა. ამასთანავე გვაცნობონ, რომელი გაზეთი რამდენი ცალია საჭირო.

**თფილისი, სასახლე, ოთახი № 10, სასოფლო კომისია.** (2—1)

## ქუთაისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1 აგვისტოდან თავისუფლდება ქალაქის მეორე აფთიაქის გამგის ადგილი. თხოვნების შემოტანა შეიძლება ქალაქის გამგეობაში 10 აგვისტომდი. არჩეული პირი უნდა შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას 15 აგვისტოდან.

პირობები: ჯამაგირი 450 მ. თვიურათ; ბინის ქირა 500 მ. წელიწადში. (3—2)

## საქართველოს ბრძოლა

საქართველოს დემოკრატიას ბევრი მტერი ჰყავს. და ყველა მის თვითეულ ნაბიჯს მისჩერებია,—ეგება გასაკრიტიკებელი და დასაძრახი რაიმე ვიპოვნოო. მის წინააღმდეგ ვინც უნდა იბრძოდეს, ყველას ხელს აფარებენ.

ამ უკანასკნელ დროს ჩვენს დემოკრატიას სასტიკი ომი ჰქონდა გარედან შემოსეულ და შიგნიდან ამხედრებულ ბოლშევიკების ბრბოებთან მთელი ენერგია ამ ბრძოლაზე იხარჯებოდა.

ყველა მოკეთე და გულშემატკივარი დემოკრატიის ამ მძარცველთა შემოსევისაგან განთავისუფლებაში დაეხმარებოდა. ჩვენ კი ნაცვლად ამისა ვიგემეთ წინააღმდეგი. „ტრუდოვოე ზნამია"-ს ესერები და რუსულ „სოც.-დემ." გაბუტული ამხანაგები ჩვენვე აგვიმხედრდენ და რაც კი შეეძლოთ, ამ ბრძოლაში ჩვენი სახელის გატეხას შეეცადენ.

ზოგნი იქამდისაც მივიდენ, რომ ამ ამბოხებაში ბოლშევიკების მონაწილეობას უარჰყოფდენ.

ახლა, როცა თერგის ოლქის სახალხო კომისართა ბჭობამ აშკარად დაამტკიცა, რომ მეამბოხეთა სულის ჩამდგმელი ბოლშევიკი ავანტიურისტები იყვნენ, ეს ვაჟბატონები ისევ საქართველოს დემოკრატიას უძებნიან კილს: ჩვენ გვაბრალებენ იმპერიალისტობას—საზღვარზე გადასვლა რათ გაბედეთო.

განა უამისოთ შეიძლებოდა მტრის მოგერება?

და ბოლოს უნდა ვიცოდეთ: გრძნობენ ასეთ ბრალდების წამომყენებელნი ვის და რას ემსახურებიან?

ესერები, ბერიოზოვები და ძმანი მათნი „კავკაზსკოე სლოვოდან" კარგათ გრძნობენ. მათ იციან, რასაც აკეთებენ. მაგრამ, როცა ამათ ფეხის ხმას აჰყვა ზოგიერთი სოციალდემოკრატი ამხანაგი, ეს კი მეტათ სამწუხარო და არანორმალურია.

სოც.-დემოკრატს უნდა შესწევდეს გამბედაობა უცხო ერის დემოკრატიასაც ისე მოეპყრას, როგორც თავის საკუთარს, მისი განვითარების ინტერესებიც საერთო პროლეტარიატის ინტერესებს არ ჩამოაშოროს.

წვრილ ბურჟუაზიულ ესერებისაგან მეწვრილმანური შეხედულება გასაკვირველი არაა. განსაკუთრებით რუსეთის ესერებისაგან, რომელნიც დრო გადასულ თემური წყობილების იდეოლოგები არიან, მათ რუსის გლეხი მიაჩნიათ მხოლოდ ქვეყნისა და შეუცნებელი მთიული—საუკეთესო იარაღათ სოციალისტურ ექსპერიმენტებისა.

სოც.-დემოკრატი კი უნდა ანგარიშს უწევდეს რეალურ ძალთა განწყობილებას, უნდა რეალურათ აფასებდეს თვითეულ ნაბიჯს და მოვლენას იმ შედეგების მიხედვით, რომელიც ამ ნაბიჯს მოყვება.

თუ ამ მხრით შევხედავთ ჩვენს მოქმედებას, უნდა გამოვტყდეთ, რომ საქართველოს ჯარების გმირულმა მოქმედებამ იხსნა საქართველოს დემოკრატია შავბნელი რეაქციისა და განადგურებისაგან. გამარჯვება შავი ზღვის ნაპირის და სამხედრო გზის გაწმენდამ ამ ჟამათ მაინც გვიხსნა ამ მოსალოდნელ საფრთხესაგან.

ამ რიგათ ამან ხელი შეუწყო ჩვენი მთავრობის გამაგრებას და რესპუბლიკის განმტკიცებას. მაშასადამე ეს ომები თავის მიზნით და შედეგებით იცავენ რევოლიუციის მონაპოვართ. გზას უხსნიან დემოკრატიას წინმსვლელობისაკენ.

ამას ვერ დაინახავს მხოლოდ ის, ვისაც საქართველოს ყოველი სიკეთე თვალში მუწუკათ ეჩვენება.

## გვპასუხებთ!

(„ვოზროჟდენიეს").

„ვოზროჟდენიე" გაგვირისხდა: ჩვენი სწორი შენიშვნა შიგ გულში მოხვდა და აახმაურა.

მაგრამ გადაგვარებულ წოდებას ზნე-ჩვეულებაც თავისებური აქვს: იმიტომ ასტეხა „ვოზროჟდენიემ" დაუსრულებელი განგაში, რომ იქნებ, ვისმეს, განსაკუთრებით გარეშეებს, გზა-კვალი ავუბნიო და თუ თავად-აზნაურობის საქმეს ვერ გამოვაკეთებ, დემოკრატია მაინც დავაზიანოვო. ნაცადი ხელობაა ჩვენი გარდამავალი წოდებისათვის!

ჩვენი შენიშვნა გამოიწვია „ვოზროჟდენიეს" ბოროტმა სიხარულმა: უცხოელ ინსტრუქტორების მოწვევით სოციალისტებს ბოლო მოეღებათ და თუ დღეს წმინდა ტეხნიკურ საქმისთვის იწვევენ სასურსათო, სამხედრო და საფინანსო სამინისტროში, მალე დადგება დრო, როცა სხვა სამინისტროებშიაც უცხოელები ჩადგებიანო.

ჩვენ არ შევუდგებით იმ წერილის მოყვანას, რომელმაც „ერთობის" შენიშვნა გამოიწვია: წაიკითხოს მკითხველმა და თვით დარწმუნდეს.

ამის საპასუხოთ ბ. კ. თუმანოვი „ვოზროჟდენიეში" სიტყვას ბანზე გვიგდებს და გაღმა გვიდავება: „ერთობა" ილანძღება", ჩვენმა მოკლე და ობიექტიურმა ანალიზმა, „ერთობის" მხრით გამოიწვია ქუჩური გინება და ბულვარული მარგალიტებით საკსე პასუხი. თანაც მართალი კაცის პოზით მოითხოვს: დაგვიმტკიცოს „ერთობამ" ქართველ თავადების ღალატი, თორემ პროვოკატორულს ვუწოდებ მის გამოსვლასო.

ჩვენ მოგახსენებთ ბ. თუმანოვო, რომ თქვენიანები სიხარულით მოელიან იმ დროს, როცა უცხოელები ჩვენს შინაურ საქმეებში ჩაერევიან, და ამ სიხარულს ჩვენ ვუწოდეთ მოღალატური. ამავე დროს მოგახსენეთ, რომ მთავრობა იძულებულია უცხოეთიდან მოიწვიოს მცოდნე პირები, რადგან ასეთები ჩვენ არა გვყავს. პირდაპირ შეგეკითხეთ: ჩვენებური ნახევრათ ველური თავადები ხომ ვერ მოუვლიან სახელმწიფოს თქო.

სად არის აქ ქუჩური ლანძღვა და ბულვარული მარგალიტები? რატომ ცილის წამება არ უწოდეთ ჩვენს ბრალდებებს, რომელსაც ჩვენ თქვენი კლიენტების წინააღმდეგ ვაყენებთ. ჩვენ კიდევ ვიმეორებთ, რომ თქვენებს გაქვთ ასეთი სურვილი. მოიგონეთ თუნდაც თქვენი გაზეთის დროებით შეჩერება: ნუ თუ არ გახსოვთ, როგორ სისტემატიურათ ეწეოდით აგიტაციას მუსულმან ბეგების სასარგებლოთ.

ახლა ტრაბახობთ კიდეც, ვითომ მიუდგომელი ანალიზი გაგვიკეთებიათ მთავრობის ნაბიჯისა? კიდევ მოგაგონებთ: პეტრე დიდის დროს არ იყო რუსეთში არც ერთი სოციალ-დემოკრატი, მაგრამ გენიოსმა პეტრემ მაინც საზღვარგარეთიდან მოიწვია მცოდნე პირები. თქვენ ეს კარგათ იცით, მაგრამ მაინც სხვას ლაპარაკობთ, რომ სოციალისტებს საქმის უცოდინარობა უკიჟინოთ. ჩვენ არ ვუარყოფთ იმას, რომ არ გვყავს გამოცდილი კაცები, რადგან რალაც ორი თვეა, რაც საკუთარ სახელმწიფოს შენებას შევუდექით. თქვენ წარბშეუხრელათ იმეორებთ: ვითომ მცოდნე კაცები ჩვენში ბლომათ არიან, მაგრამ ესენი სოციალისტურ პარტიების გარეშე სდგანან და ამიტომ არ ვიწვევთ მათ სამუშაოთ. როგორ არ გრცხვენიათ, როცა ასეთი ტყუილებით უმასპინძლდებით მკითხველებს? აბა სადა გყავთ ეს მცოდნე კაცები?

ავიღოთ თუნდაც სასურსათო საქმე. მართალია, ამ სამინისტროს სათავეში სოციალისტები დგანან, მაგრამ თუ თქვენ შეგიძლიათ ამ საქმის უფრო კარგათ მოწყობა, გვიჩვენეთ თქვენი პროექტი.

ჩვენ თქვენგან არაფერი გაგვიგონია გარდა იმისა, რომ მიწები ისევ თავადებს დარჩეთ და თუ ჩამორთმევა იქნება, ხაზინამ ფული მისცეს თავადებს. იქნება ამ მუქთა ხორათათვის ხაზინის ქონების მიცემა გამოასწორებდა ჩვენი ფინანსების საქმეს? რატომ პირდაპირ არ ამბობთ?

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი ბავშვური გამოლაშქრება ბ-ნ თუმანოვისა. ჩვენ ვთქვით, რომ ნახევრათ ველურ ქართველ თავადებს არ შეუძლიათ დღეს ქვეყნის მართვა. ამის საპასუხოთ ბ-ნი თუმანოვი ყოვლათ უსაფუძვლოთ და უზრდელათ ლანძღავს მიწათ-მოქმედების მინისტრს ნ. ხომერიკს, რომელსაც ადარებს კ. ამირაჯიბს. გამოდის, რომ კ. ამირაჯიბი ნახევრათ ველურია, ხოლო თქვენი ნ. ხომერიკი კულტურული კაციაო. ჩვენ პირადათ არავინ დაგვისახელებია და არც ამირაჯიბი გვიხსენებია. თუ გნებავთ, არ უარვყოფ, რომ ყორნების ოჯახში თეთრი ყორანიც გამოერევა ხოლმე და კ. ამირაჯიბი სწორეთ ასეთი თეთრი ყორანია. მაგრამ რა შუაშია აქ ნ. ხომერიკი? მას, მართალია, აქვს ერთი დიდი ნაკლი: ნ. ხომერიკი არ არის თავადი და არც უნივერსიტეტი გაუთავებია, როგორც კ. თუმანოვს, მაგრამ განა ეს უფლებას აძლევს ბ. თუმანოვს ხომერიკი უდიერათ მოიხსენიოს? ნუ თუ მან არ იცის, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში სულაც არ არის დასაძრახი, რომ მინისტრებათ არა წარჩინებულ გვარის პირები იყვნენ, თუ კი მათ ცოდნა აქვთ.

დასასრულ ბ. თუმანოვი აგვხირებია: დაგვისახელეთ სახელდობრ, რომელი თავადები არიან ბათუმის დაცემაში, რომ ბრალი უდევთო. მოგახსენებთ, ბ. თუმანოვო, რომ ეს საქმე არაა საბოლოოთ გამოძიებული, მაგრამ ზოგიერთი საბუთები მაინც არის. თუნდაც ყოფილ საგანგებო საგამოძიებო კომისიის არქივში. იქ არის ნაჩვენები გვარები: გურიელის, შერვაშიძის, ნაკაშიძის, ერისთავის, მარშანიას, კვირკველიას და სხვების.

მგონი კმარა, ჩვენ ხომ საგამომძიებო განყოფილება არა გვაქვს რედაქციასთან, რომ უფრო დაწვრილებით ვიცოდეთ: დანარჩენი თქვენს ნაცნობ-მეგობრებში მოიკითხეთ, ბ. კ. თუმანოვო! საქმემან თქვენმან გამოგაჩინოს თქვენ!

## პრესა

„ვოზროჟდენიე" შემთხვევას არ უშვებს, რომ ერთი კეთილშობილი არსების მსგავსათ, არ დასწიხლოს ესა თუ ის საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

მთავრობამ გამოაცხადა თავისუფალი ვაჭრობა პურზე და ამ განკარგულებას, როგორც ლოღიკური დასკვნა, სასურსათო კომიტეტების გაუქმება მოყვა. „ვოზროჟდენიე" კი სასურსათო კომიტეტებს აბრალებს პურის გაძვირებას მას ავიწყდება, რომ სასურსათო კომიტეტების დაარსებამდი რევოლიუციის დასაწყისამდე ქალაქს თხუთმეტ ვაგონამდი პური მოსდიოდა დღეში, მაგრამ რაღაც მანქანებით, პური მაინც არ იყო საყოფათ. რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა კი შესძლეს პურის სამართლიანი განაწილება, თუმცა დღეში ხუთი ექვსი ვაგონი მოსდიოდა თფილისს.

„ვოზროჟდენიე" მაინც კადნიერდება, თავის კლიენტების ადლით ზომავს ყველას. ის აღნიშნავს, რომ ხმები დადის მთავრობა სპეკულიაციის წინააღმდეგ მებრძოლ რაზმში ყოფილ სასურსათო კომიტეტების მოსამსახურეების მიღებას აპირებსო და შენიშნავს:

„ეს იმას ემსგავსებოდა, რომ სპეკულიანტების წინააღმდეგ ბრძოლა თვით სპეკულიანტებს მიანდოთო".

ალბათ „ვოზროჟდენიე" ფიქრობს, რომ ქართლიდან გამოქცეული თავადები ყველაზე უკეთ შესძლებენ სასურსათო საქმის მოგვარებას.

## უკანასკნელი ცნობები

**კავკავი.**

დღეს კავკავში გაიხსნება მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკის და თერგის ოლქის მთავრობათა წარმომადგენლებისა ურთიერთ შორის მეზობლურ დამოკიდებულების დასამყარებლად. ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარეა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი გერ. მახარაძე.

**ქუთაისი.**

სასურსათო კომიტეტი უკვე შეუდგა ონიდან სიმინდის გადმოზიდვის საქმეს. გაგზავნილია და ყოველ დღე იგზავნება მრავალი ურმები. ფუთი სიმინდი ქუთაისში ეღირება არა უმეტეს 40 მანეთისა. სიმინდი იგზავნება ტყიბულით და საჩხერით. ხონში სიმინდის ფასი ძალზე დაეცა.

**მარტვილის რაიონი** (სამეგრელო).

როგორც ჩამოსულმა ამხანაგმა გვიამბო მარტვილის რაიონში ავაზაკობას ფართო ხასიათი მიუღია. დათარეშობს განსაკუთრებით ერთი ბრბო ავაზაკებისა ცნობილ ყაჩაღი ალექსანდრე ხაჟომიას მეთაურობით. ეს ბრბო ამას წინათ თავს დასხმია ს. სალხინოს და გაუძარცვავს, შემდეგ დ. ჩიქოვანს კინჩხის საზოგადოებაში, საბალახო მთა ასხიდან მათ ჩამოურეკიათ ცხენები, რომლებზედაც თავისუფლად დანავარდობენ და თავზარს სცემენ მიდამოს. ამ ბრბოს, როგორც სჩანს, ჯერ კიდევ არ აუხდია ბოლშევიკური ნიღაბი, და ალექსანდრე ხაჟომიაც მიბაძავს რა ალექსანდრე გეგეჭკორის მაგალითებს, სოციალისტურ არმიის მობილიზაციას ახდენს, რისთვისაც მოწოდებაც გამოუშვია კინჩხის საზოგადოების (მარტვილის რაიონი) მცხოვრებთადმი. ადგილობრივი მილიციონერები და სენაკიდან და ხონიდან გამოგზავნილი დამხმარე რაზმები წასულან ავაზაკების ასალაგმავათ კინჩხის საზოგადოებაში, სადაც ბრბოა გამაგრებული. შედეგები ჯერ არ ვიცით. ს. ბუმბუას ხიდთან ბრბო გამაგრებულა და სროლა აუტეხია მთავრობის რაზმებისთვის.

## ოთხი წლის შემდეგ ინტერნაციონალი

(1914 წ.—19 ივლ. 1 აგვისტოდან 1918 წ.)

ოთხი წელიწადია დღეს. რაც საერთაშორისო უბედურება, ხოცვა ჟლეტაა გაჩაღებული. ილუპება მილიონებით ადამიანები, ნადგურდება შექმნილი კულტურა, ქონება, სიმდიდრე კაცობრიობისა. ოთხი წლის უკან სოციალისტური ინტერნაციონალი, რომელიც იდგა ამაყ სიმაგრეთ, დარაჯათ, საფარველად საერთაშორისო მშვიდობიანობისა,—დაიმსხვრა, დაიშალა. გვეგონა ომი ინტერნაციონალური ძალის მეოხებით შეუძლებელი იყო, საუბედუროთ ჩვენდა მისწრაფება ძველის თუ ახალის კაპიტალისტურ ქვეყნებისა იმპერიალისტურ განვითარებისა უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე ინტერნაციონალი მუშათა კლასისა და შეუკავებლად ჩაითრია ხალხი სამკვდრო სასიცოცხლო შეტაკებაში, ომში.

და აი ომი გაჩაღდა და ჩქარა სიამაყე ინტერნაციონალისა ნამსხვრევებად გადაიქცა. იმ დროს, როდესაც ქ. ვენაში უნდა შეკრებილიყო საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი, რომ ამით უფრო მჭიდროთ შეეკავშირებია ერთი-მეორესთან პროლეტარიატი ყველა ქვეყნისი, რომ უფრო მაგრათ დაეკავშირებინათ ისინი ერთი აზრით, ერთი ნებით, ამ დროს სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარიატისათვის უკვე იყო გათხრილი გადაუვალი თხრილები, სანგრები და აიმართა კედელი შტიკების და ნიაღვარი ყუმბარებისაგან.

გრიგალისებურმა სიბოროტემ, ბრაზიანობამ მოიცვა უსიტყვო დედამიწა. მან გაიტაცა, ჩაითრია და შეატაკა ერთი-მეორეს გუშინდელი ძმები, სულით და კლასობრივი ბრძოლით ერთნი და ამ დროს სუსტი გამოდგა საერთაშორისო უდიდეს შრომის არმიის რაზმთა შორის კავშირი. თითოოროლა მებრძოლთა ხმა, რომლებიც დარჩენ ერთგული ინტერნაციონალურ დროშისა, დაიკარგა, დაიფარა შეუწყვეტელ იარაღის ჭექა-ქუხილში და „ზარბაზნისებურ" ხმით შოვინისტურ ყიჟინში.

მარა თვით იგივე აღვირწახსნილ ომის სტიქიურმა ძალებმა, რომლებმაც დაამსხვრიეს საერთაშორისო მუშათა ამხანაგობა, დაიწყო დღეს ცოტათი გაფანტვა სისხლიანი ნისლისა, რომელიც ერთობ დიდხანს აბრმავებდა ხალხის თვალებს.

დღეს ყველასათვის აშკარა ხდება—ომს მოაქვს და მოიტანა ხალხისათვის მხოლოდ სიკვდილი და დანგრევა, მხოლოდ მწუხარება და დამსხვრევა!

სად გაჰქრა მაღალი მიზანი ომისა—ბრძოლა მშვიდობიანობისათვის, ბრძოლა წმინდა საერთაშორისო ხელშეკრულობისათვის, უფლებისა და განთავისუფლებისათვის გათელილ პატარა ერთა.

გამცემლური დარღვევა ხელშეკრულებისა, დამორჩილება და გაცალიერება, გათელვა პატარა ხალხისა, განადგურება მრავალ საუკუნეთა ცივილიზაციის ნაყოფისა, განადგურება კულტურულ ცენტრებისა, დამახინჯება და სიკვდილი—აი რა მოუტანა ომმა ხალხს.

არა, ტყვილათ კი არ უნდოდათ ეს ომი ყველა ქვეყნის იმპერიალისტებს, რომელნიც მიისწრაფოდენ უზომო სიმდიდრის შესაძენათ ძალმომრეობის გზით, სხვისი მიწა-წყლის, სხვისი სიმდიდრის დატაცებით, წართმევით. ნელა, მარა მაინც მიდიოდა წინ ნელის ნაბიჯით ამ ორი წლის წინათ დაწყებული გამოფხიზლება უმოწყალო ცხოვრების მიერ ლახვარ ჩაცემულ ხალხისა; მარა სამწუხაროთ პროლეტარიატის საქმე არ იყო მაგარ ნიადაგზე დაწყებული, წვრილი ძაფები საერთაშორისო გაერთიანებისა, რომელიც დიდის შრომით იბმებოდა, მებრძოლ ქვეყნებ შორის ნეიტრალურ ქვეყნების სოციალისტურ პარტიების მიერ, განსაკუთრებით ციმერვალდში და კინტალში მომხდარ კონგრესით. მართლაც სისხლის მდინარე ადინდა მებრძოლ ხალხთა შორის. თითქოს გაყვლეფილებმა მონახეს საერთო ენა გამყვლეფელებთან თავის საკუთარ ქვეყანაში, თითქოს მთლად დაკარგა საერთო ენა, მიზანი ერთი მეორეს მოწინააღმდეგე ქვეყნების პროლეტარიატისა.

მხოლოდ რუსეთის რევოლუციამ მოუტანა ნაწამებ ხალხს სამხიარულო ამბავი თავდაღწევისა. ყველა ქვეყნებისათვის დასჭექა რუსეთის რევოლიუციამ მომწოდებელი ხმა—ბრძოლა სამართლიანი—საერთო ზავისა დემოკრატიულ საფუძველზე. მაგრამ რუსეთის რევოლიუციონურმა ხმამ, რომელიც პირველია მთელს ისტორიაში, სხვადასხვა ქვეყნის პროლეტართა შორის ვერ შექმნა შესაფერი გამოძახილი. ვერ გასცეს შესაფერი პასუხი რუსეთის პროლეტარიატის 14 მარტის ლოზუნგს: ზავი უანექსიო, უკონტრიბუციო წვრილ ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე. ვერც 3 წლის ომის შემდეგ მოიკრიფა ძალა მუშათა ინტერნაციონალმა, კვლავ დატუქსული აღმოჩნდა იმპერიალისტების მიერ, აი ამ სისუსტის გამოაშკარავების დღიდან იქნება რუსეთის რევოლიუციის ჩარხის უკუღმა ტრიალი, აი ამ დღიდან იწყება განადგურება რუსეთის თავისუფლების, რევოლიუციის. დღეს ოთხი წელი შესრულდა, რაც საერთაშორისო ომი კვლავ განაგრძობს ხოცვა-ჟლეტას ადამიანებისას, მხოლოდ ერთის გამოკლებით, უკვე მონათ ქცეული რუსეთი არ ურევია აშკარათ ამ ომში, ბრძოლაში. დამონავებულებმა თავისი ოჯახში დაიწყეს ომი, ხოცვა ჟლეტა, განადგურება იმისა, რაც კი ებადათ.

დღეს არსაიდან ისმის ხმა ომის შეწყვეტისა, არსაიდან ისმის ხმა რუსეთის რევოლიუციონური 14 მარტისებური მოწოდებისა. ომის წყვდიადში ჩაინთქა ყველაფერი. კვლავ დუმილია და ამ დუმილშივე იღვრება სისხლი უმანკო ადამიანებისა. დღეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს ის, რომ მხოლოდ მუშათა ინტერნაციონალის აღდგენით, ნამდვილი საერთაშორისო ბრძოლით ზავისათვის, მხოლოდ ერთნაირი ბრძოლით ყველი ქვეყნის იმპერიალისტურ მთავრობის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ შეაჩერონ მტაცებლური სურვილები და უარყონ დაპყრობითი განზრახვები. მხოლოდ ამას შეუძლია დააჩქაროს ომის შეწყვეტა. მაგრამ როდის იქნება, რომ აღიმაღლებს ხმას საერთაშორისო პროლეტარიატი? უკვე მეხუთე წელიწადი იწყება, კვლავ ომი, განადგურება, ინტერნაციონალის დარღვევა, მოძმეთა მუშების უსოლიდარობა, ვინ იქნება, რომელი ქვეყნის პროლეტარიატი ამოიღებს გაბედულ ხმას რუსეთის პროლეტარიატის შემდეგ ომის შეწყვეტისა და ინტერნაციონალის აღდგენისათვის ომის მეხუთე წლის პროცესში? აი კითხვა ჩვენი და ალბათ ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ნატვრაა და სურვილი, თუ ვინ იქნება, რომელი ქვეყნის პროლეტარიატს ხვდება წილათ მუშათა ინტერნაციონალის აღდგენა, ომის შეწყვეტა? თუ კვლავ ოთხი წლისებურათ ჩატარდება ყველაფერი და კვლავ თოფის, ზარბაზნის გუგუნით კაცობრიობის და კულტურის განადგურებით გაივლის ეს მეხუთე წელიწადიც?

ჩვენ გვწამს, რომ ბოლოს და ბოლოს მუშათა კლასის მძლავრი ხმა შეაჩერებს ომს, მაგრამ ნუ თუ კიდევ წლები უნდა ვუცადოთ ამ ძალის გამოსვლას?

აკ. პლებეიშვილი.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

**30 ივლისის სხდომა.**

თავმჯდომარეობს ექვ. თაყაიშვილი.

მდივანი აქვეყნებს მთელ რიგს კანონპროექტებისას, რომლებიც საბჭომ გადასცა სათანადო კომისიებში. საბჭო ამტკიცებს წინა სხდომაზე მიღებულ კანონპროექტებს სარედაქციო შესწორებებით.

**ალ. ლომთათიძე** აკეთებს მოხსენებას არსებულ მფრინავ რაზმების შტატების გადიდების შესახებ და ამბობს, რომ ჩვენი რესპუბლიკის საერთო მდგომარეობა მოითხოვს გადიდებულ იქნას მფრინავი რაზმის რიცხვი როგორც თფილისის, ისე ქუთაისის გუბერნიებში 600 კაციდან 1500 კაცამდე, ხოლო სოხუმის ოლქში 300—400 მდე.

**რ. გაბაშვილი.** არსებობს სახალხო გვარდია, რეგულიარული ჯარი, საგანგებო მფრინავი რაზმის არსებობა უაზრობაა, ვინაიდან ის არავითარ საგანგებო საქმეს არ აკეთებს. საჭიროა მილიცია და რეგულიარული ჯარი შევქმნათ და საგანგებო რაზმებს სულ დავანებოთ თავი.

**ალ. ლომთათიძე:** სახალხო გვარდიას მუდმივ იარაღში ჯდომა არ შეუძლია. ხოლო საკმაო რეგულიარული ჯარი არა გვყავს, ანარქია კი მძვინვარებს, ეს ფაქტი გაბაშვილმაც აღიარა, მაგრამ გამოსავალი გზა ვერ გვიჩვენა. ვინ უნდა ებრძოლოს ამ ანარქიას, თუ არა საგანგებო რაზმებმა? (გაბაშვილი: რეგულიარულმა ჯარმა) სანამ რეგულიარულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარს შევქმნიდეთ, მანამ ასეთი რაზმების არსებობა აუცილებლად საჭიროა.

**ნ. რამიშვილი.** აქ მთავრობის წინააღმდეგ წამოაყენეს მძიმე ბრალდება, თითქოს ჩვენ ვქმნიდეთ ისეთ რაზმებს, რომლებიც საქართველოს არსებობას ძირს გამოუთხრის; მაგრამ ამ ბრალდების დასამტკიცებელი საბუთი მათ არ მოუყვანიათ, სთქვეს მხოლოდ, რომ ასეთი რაზმების არსებობა ავნებენ რეგულიარული ჯარის შექმნას, მას ენერგიას დაუკარგავენ და ეს კანონ-პროექტში ნათქვამია, რომ რაზმი სამხედრო ბეგარისაგან არავის არ ანთავისუფლებს, მაშ რაზმი ჯარს ენერგიას ვერ ჩამოართმევს. 12 მილიონი კი არ მოუნდება, როგორც აქ სთქვეს, ამ რაზმებს, არამედ სულ 4—5 მილიონი მანეთი, ჩვენ რეგულიარული ჯარი აუცილებლად უნდა შევქმნათ, მაგრამ 2—3 თვეში მისი შექმნა ყოვლად შეუძლებელია, ამიტომ საჭიროა დროებით მფრინავი რაზმების მოწყობა. ეს უფრო ადვილად მოხერხდება.

**რ. გაბაშვილი** ისევ იმეორებს თავის წინანდელ სიტყვას და ამბობს, რომ ჩვენი საბუთები თქვენ საბუთებათ არ მიგაჩნიათ, რაზმს იმიტომ აარსებთ, რომ გსურთ პარტიული რაზმები გააძლიეროთო და სხვა.

**ირ. წერეთელი.** ბ-ებო! ეს ორი სხდომაა, რომ ოპოზიციონურ რიგებიდან გამოდიან ორატორები და იერიშები მოაქვთ საგანგებო რაზმებზე. რომ გავიგოთ ოპოზიციის თავდასხმის შინაარსი, უნდა ვიცოდეთ თუ რა დებულებიდან გამოდიან ისინი, როცა მფრინავ რაზმებზე და მთავრობის მოქმედებაზე ილაშქრებენ. თქვენ მემარჯვენენი ხართ და უნდა ვიფიქროთ, რომ წესიერება გაინტერესებთ. და თუ ეს ასეა, მაშინ არ უნდა გაილაშქროთ ისეთ რაზმების წინააღმდეგ, რომლებიც მოწოდებულნი არიან სახელმწიფოში წესიერების დასაცვად. თქვენ, ბატონო გაბაშვილო, კითხულობთ რა მოხდა ეხლა ისეთი, რომ რაზმებს აარსებთო. თქვენ ბავშვები ხომ არა ხართ, რომ არ იცოდეთ თუ რა ხდება დღეს საქართველოში. რა მოხდა და ის, რომ ყველა ჯურის ნაციონალისტები დარაზმულად თავს ესხმიან ჩვენს რესპუბლიკას, ხდება ის, რომ ყოველ მხრიდან განადგურებით ემუქრებიან ჩვენს ქვეყანას. ასეთ საბედისწერო დროს ლაპარაკი რაღაც კონსტიტუციონალურ გარანტიებზე, ზომებზე, რევოლიუციაზე, კონტრ-რევოლიუციაზე მხოლოდ ფრაზეოლოგიაა და მეტი არაფერი. ყოფნა არ ყოფნის საკითხი დგას და გადაჭრას მოითხოვს ჩვენგან. ასეთ დროს აუცილებლად საჭიროა გვყავდეს რეალური ძალა, რომელიც წესიერებას დაიცავს რადგანაც თქვენ ასეთი რაზმების წინააღმდეგ მიდიხართ, მაშინ წესიერების დამცველნი არ ყოფილხართ. ჩვენი ამხანაგები გამოდიან და აცხადებენ ტრიბუნიდან, რომ ვერ გავიგეთ თუ რა სურს ნაც. დემოკრატებსო. მე უნდა აუხსნა მათ, რომ თუ ვერ გაიგეს ეს იმიტომ, რომ ეს (ნ. დ.) პარტია უწესოების პარტიაა, მათ კი (ამხ.) გონიათ რომ ეს წესიერების პარტიაა და სხ. ეს გარემოება გასაგებიც არის: ნაც. დემოკრატებს აინტერესებთ, რომ ანარქია მძვინვარებდეს, რადგანაც თუ წესიერება დამყარდა, ეს იქნება დემოკრატიული წესი. შეიძლება ბ-ნო გაბაშვილო ის, რასაც თქვენ ამბობთ ჩვენ შევასრულოთ შემდეგ, როცა ნორმალური პირობები შეიქმნება და ანარქია მოისპობა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მაშინ ამის წინააღმდეგ გაილაშქრებთ. თქვენ მაშინ კონსტიტუციონალურ გარანტიებს ზურგს შეაქცევთ, მაგრამ არც მაშინ გვიგონებთ, როგორც ეხლა, რადგანაც თქვენი გზა სულ სხვაა და ჩვენი სხვა. მე გიყენებთ საბუთებს და თქვენ ის დაარღვიეთ: შეიძლება თუ არა სახელმწიფოს მრავალი მტრები შემოესიოს და მან განსაკუთრებული ზომები არ მიიღოს? ეს ერთი საბუთი. მეორე საბუთი: ჯარი თუ აქამდე ვერ შესდგა, მიზეზი ანარქია იყო. ვისაც უნდა ჯარის შექმნა, მან ხომ უნდა მოსპოს ეს დამაბრკოლებელი მიზეზი, ანარქია? ამისათვის ხომ საჭიროა რაზმის ყოლა? თუ თქვენ წესიერება გაინტერესებთ, მაშინ რაზმების წინააღმდეგ არ უნდა გაილაშქროთ. ყოველ პოლიტიკურ პარტიას პატივისცემით უნდა მოეპყრას კაცი, მაგრამ როგორ შეიძლება კაცმა პატივი სცეს ისეთ პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც გულში ერთი აქვს და მეორეს ამბობს, რომელსაც ნამდვილი სახე არ შეუძლია დაანახოს მოწინააღმდეგეს. თქვენ ამბობთ, რომ ანარქია მძვინვარებს, მაგრამ მოსპეთ სახალხო გვარდია, მოსპეთ სხვადასხვა რაზმები და საქმე გამოკეთდებაო. თქვენ ბავშვები ხომ არა ხართ, რომ არ იცოდეთ თუ რა მოხდება ამ ძალების მოსპობით. თქვენ ეს რაღაც გაუგებრობით გემართებათ. მაშინ ხომ ანარქია დაღუპავს დემოკრატიას? თქვენ ებრძვით მთავრობას, მაგრამ არ შეგითვისებიათ ბრძოლის მეთოდი. ჩვენც ვებრძოდით ნიკოლოზის მთავრობას, მაგრამ სისტემას კი არ ვუწუნებდით, არამედ პირდაპირ მათი მოქმედების წინააღმდეგ ვილაშქრებდით. თქვენ ანარქიასთან ბრძოლის საჭიროებას აღიარებთ, მხოლოდ მის მომსპობ ძალებს კი უარყოფთ. (ტაში) თქვენ როცა ასე თავს ესხმით მთავრობას, ხომ არ გინდათ მთავრობაში იყოთ? თქვენ არ ვარგხართ მართვა-გამგეობისათვის, თქვენ არაფერი არ გაგიკეთებიათ, არ გაქვთ წარსულის ისტორია, სხვა ქვეყნის ბურჟუაზიულმა კლასმა ეკონომიურ სფეროში ბევრი რამ გააკეთა, თქვენ მხოლოდ არ მოგწონთ სხვისი ლამაზი სიტყვები; თქვენ კი თქვენი ულამაზო სიტყვებით ყური გამოგვიჭედეთ. (მაჭავარიანი ადგილიდან: „რა იცით, რომ ჩვენ არ ვარგვართ?“) თქვენ საქმის გაკეთება არ შეგიძლიათ, რომ შეგეძლოთ, მაშინ მთავრობისაკენ გაიწევდით, (სიცილია) შეუძლია გაიცანოს მხოლოდ იმ პარტიას, რომელიც იმას აკეთებს რაც გულში აქვს და რისთვისაც მოწოდებულნი არის. თქვენ კი, ბ. ნაც. დემოკრატებო მართლა სასაცილო მდგომარეობაში ვარდებით, როცა არ იცით რას აკეთებთ. (ტაში).

წერეთლის სიტყვის დროს და მის გათავების შემდეგაც ნაციონალ-დემოკრატებს მღელვარება ეტყობათ. ჩაწერილია რ. გაბაშვილი, მაგრამ ამხანაგები ურჩევენ არ გამოვიდეს, გაბაშვილი დგება და რყევაშია, არ იცის გამოვიდეს თუ არა წერეთლის საწინააღმდეგოთ, ბოლოს ის მიდის ტრიბუნისაკენ, თავმჯდომარეს რაღაცას ეუბნება და ისევ ჯდება.

საბჭომ კანონ პროექტი მიიღო. მიიღო აგრეთვე კანონ-პროექტი საქარხნო ინსპექციის გაუქმების შესახებ. ყველა ის საქმეები და ფუნქციები, რომელსაც ასრულებდა ინსპექცია, გადაეცემა შრომის სამინისტროს.

განსახილველია კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ მთავრობას უფლება მიეცეს განსაკუთრებულ პირობებში მოახდინოს ლიკვიდაცია ზოგიერთ არა საჭირო დაწესებულებების. ამ კანონ-პროექტის წინააღმდეგ მიდიან ნაციონალ-დემოკრატები. მცირე კამათის შემდეგ საბჭომ ეს კანონ პროექტი მიიღო. კამათი გ. ვეშაპელის მთავრობისადმი სახჩერის ამბების შესახებ შეკითხვის გამო საბჭომ გადასდო შემდეგი სხდომისათვის.

აკ. ხ—უა.

# ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის ლაშქარს

(№ 44. 1918 წ., ივლისის 28).

17 ივლისს მე ბრძანება გავეცი საქართველოს რესპუბლიკის ლაშქრისადმი, რომ ყველა იმ აფიცრებმა, რომლებიც ამ ჟამად სამსახურში არ ითვლებიან, მოიხსნან სამხედრო ნიშნები. ბრძანება მიეცა „საქართველოს რესპუბლიკის ლაშქრის“ აფიცრებს და არა რუსეთის ყოფილ ლაშქრის აფიცრებს, რომელნიც რესპუბლიკის ჯარში არ ითვლებიან, საქართველოში დარჩენ ამა თუ იმ მიზეზით და სტუმრებათ ითვლებიან.

ამავე დროს კი ზოგიერთმა პირებმა, რომლებმაც არ მოისურვეს 17 ივლისის ჩემი ბრძანების შესრულება, იგი ნებსით თუ უნებლიეთ გამოიყენეს იმ გათიშვის გასაძლიერებლად, რომელმაც სამწუხაროდ თავი იჩინა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ბრძოლაში დამმობილებულებთა შორის.

რადგანაც არა მსურს, რომ 17 ივლისის ჩემი ბრძანება ყველამ თავისებურად განმარტოს — ბრძანებითვე განვმარტავ და ვიმედოვნებ, რომ ის აფიცრები, რომლებითაც კავკასიის ლაშქარი სამართლიანად მუდამ ამაყობდა, არ დაიწყებენ მიზეზების ძებნას იმ შუღლის გასაძლიერებლად, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ადგილი აქვს და ხელოვნურად აძლიერებენ.

ამასთანავე ერთად მე გავახსენებ ყოფილ კავკასიის ლაშქრის უფროსს, რომ ურთიერთ სამხედრო პატივისცემის ქუჩებში და საზოგადო დაწესებულებებში პატიოსნების დასაცავად, საქართველოს რესპუბლიკის მიწა-წყალზე მყოფი ყველა სამხედრო პირები, რომელნიც სამხედრო ფორმას ატარებენ, მოვალენი არიან სასტიკად ასრულებდენ საქართველოს რესპუბლიკის ლაშქრის უფროსის განკარგულებას.

ლაშქრის დროებით უფროსი გენერალ-მაიორი **ანდრონიკაშვილი.**

# ახალი ამბები

**პარასკევს, 2 აგვისტოს საღ. 6 საათზე დანიშნულია შეერთებული კრება თფილისის კომიტეტის, რაიონულ კოლექტივების და საოლქო კომიტეტის ს. დ. მ. პ. თვითმართველობის დარბაზში. სთხოვენ ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრონ, რადგანაც მეტათ სერიოზული კითხვები არის გასარჩევი.**

◆ **ამიერ კავკასიის** დეპეშათა სააგენტო აცხადებს: რადიო-ბიულეტენები დღეს დილით სააგენტოს არ მიუღია; უკეთუ ბიულეტენებს დღეს მიიღებს, ხელის მოწერით გაეგზავნება სალამოთი.

◆ **ხოლერას უცრის უფასოდ** ქალაქთა კავშირის ბაქტერეოლოგიური რაზმი 10—3 საათამდე რაზმის ცენტრალურ ლაბორატორიაში (მატინოვის ქ.) ნაშუადღევს 1—4 საათამდე. აცრის შემდეგ ხოლერის გავრცელებამ შესამჩნევად იკლო ლტოლვილთა შორის.

◆ **შეთანხმება.** საქართველოს და ადერბეიჯანის მთავრობათა შორის უკვე მოხდა შეთანხმება პურის საკითხის შესახებ. ამ დღეებში ადერბეიჯანიდან თფილისში შემოიტანენ 80 ვაგონ პურის ფქვილს. ცნობებია აგრეთვე, რომ პურის თავისუფალ ვაჭრობის გამოცხადების შემდეგ ბევრი კერძო პირები გაეშურენ სხვადასხვა ადგილას, განსაკუთრებით უკრაინაში პურის ჩამოსატანად.

◆ **საქართველოს სამხედრო გზაზე.** საქართველოს რესპუბლიკის მთავარი და საველე შტაბების დადგენილებით საქართველოს სამხედრო გზაზე მიმოსვლა ნებადართულია ყველასათვის უნებართვოდ. რომ სად. ყაზბეგთან შეჯგუფება არ მოხდეს, საჭიროა პატარ-პატარა პარტიებათ გამგზავრება არა უმეტეს ათი ფურგონისა დღიურად. ამასთანავე შტაბი აფრთხილებს ლტოლვილთ; თერგის მთავრობამ კატეგორიულათ განაცხადა, რომ ის კავკავში არ შეუშვებს ლტოლვილთ. ამიტომ სახალხო გვარდიის შტაბი ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის თავიდან იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწევა ამის შემდეგ იქ ლტოლვილთ.

◆ **სამხედრო მინისტრის თანაშემწედ** დაინიშნა გენ.-მაიორი ბენაშვილი და არა ბენაევსკი, როგორც ეს ჩვენს გაზეთში გუშინ შეცდომით იყო მოხსენებული.

◆ **ხოლერა.** უკანასკნელ დღე-ღამის განმავლობაში ქალაქის საავათმყოფოში მიიყვანეს ხოლერის ნიშნებით ავათმყოფი 5, საექვოდან ერთი ავათმყოფი მორჩა ხუთი გარდაიცვალა. 30 ივლისს საავათმყოფოში იყო ხოლერიანი 154, საეჭვონი 14 ავათმყოფი.

◆ **გადმოხვეწილებს,** რომლებიც ქალაქში დარჩენ, გუშინ შეუწყდა ყოველგვარი სურსათის მიცემა, ყველა ისეთი გადმოხვეწილები, რომლებიც პირადი შრომით თავს ვერ ირჩენენ ქალაქში გადაყვანილ იქნენ მუხამასი ვერსზე. ქალაქში დარჩენილ გადმოხვეწილთა ქალაქმა დაუტოვა 4 თავშესაფარი. მუხამასი ვერსზე აწყობენ საავათმყოფოს 20 საწოლით. მძიმე ავათმყოფებს ქალაქის საავათმყოფოებში მოათავსებენ. სომხეთა ეროვნული საბჭო გადმოხვეწილთათვის ხსნის საქსოვ სახელოსნოს.

◆ **მთავრობაში.** მთავრობამ დაადგინა წითელი ჯვრის ლიკვიდაციისათვის წითელი ჯვრის მთავარი გამგეს მიეცეს 869 ათასი მანეთი ათი მილიონის ფონდიდან.

— სწავლა განათლების მინისტრის შუამდგომლობის, შესახებ ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფოს ხელში გადასვლისა დაადგინა გადაეცეს კომისიას, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ განათლების მინისტრმა და ქალაქის თავმა და წარმოადგინოს თავისი მოსაზრება. სახელმწიფო საიჯაროთ გასაცემათ საქმის დროს უპირატესობა მიეცეთ პროფესიონალური კავშირისა და არტელის მუშებს.

◆ **ქუთაისიდან** ვლადიმერ ჯიბლაძე დეპეშით გვატყობინებს: ლეჩხუმში გორმაღალას აღების დროს მოკლულ იქნენ სახალხო გვარდიელები კონსტანტინე ფირცხალავა და აქსენტი ბ რამიძე.

◆ **გზათა მიმოსვლის სამინისტროსთან** დაარსდა ტარიფის საქმეთა კომიტეტი და შემუშავებულია პროექტი საბჭოს დებულებათა შესახებ. ამ საბჭომ უნდა განიხილოს საერთოდ რკინის გზის, ახალი გზების საკონცესიო საკითხები და სხვა. პირველ რიგში დასმულია ფოთი-ტუაფსეს რკინის გზის გაყვანის საკითხი.

◆ **საქონლის მატარებლების** მიმოსვლა საქართველოს რკინის გზებზე არ იქნება შემცირებული. მიღებულია ზომები რათა სამგზავრო მატარებლების მიმოსვლაც ნორმალურად სწარმოებდეს. მიღებულია აგრეთვე ზომები გზა-ტკეცილების შესაკეთებლად. ავტომობილების მოძრაობისათვის ფოსტის გადასაზიდათ და მგზავრების გადასაყვანათ.

◆ **შრომის სამინისტრომ** განკარგულება მოახდინა ყველა დაწესებულებებში, რომ კითხვები, რომელიც მოსამსახურეებსა და მუშებს ეხება არ გადასწყდეს მის დაუკითხავათ.

◆ **მთავრობის თავმჯდომარემ ნ.** ჟორდანიამ შემდეგი დეპეშა მიიღო ფოთიდან. ფინანსთა მინისტრის პატივსაცემათ თავმოყრილმა ფოთის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა წარმომადგენლებმა დაადგინეს თქვენ როგორც მთავრობის მეთაურს გამოგიცხადონ თანაგრძნობა და დაპირება, რომ მზათ არიან მხარი დაუჭირონ ყველა თქვენ განზრახვებს.

◆ **თფილისის სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობამ სთხოვა ქალაქის თვითმართველობას, რომ ნება დართოს მას შიოევის სახლში (თათრის მოედანზე), აუდიტორია მოაწყოს 300 კაცისათვის, სცენა ბიბლიოთეკა-სამკითხველო და სკოლა წერა კითხვის უცოდინართათვის,

◆ **გარნიზონის უფროსმა.** დაატუსაღა; პრაპ. იკ. მალიანცი მკვლელობისათვის; ქართულ ცხენოსან პოლკის ჯარისკაცი გოგიაშვილი, საავიაციო რაზმის ჯარისკაცი ზ. ურეგაშვილი თოფის გაყიდვისათვის.

◆ **სოხუმის საცდელ სადგურის** გამგის განკარგულებაში გადაცემულ იქმნა 11,508 მან. მუშების დამატებითი, ჯამაგირების დასარიგებლათ.

◆ **სარაყამიშის ფოსტა-ტელეგრაფის** გაძარცვის საქმე საოლქო სასამართლოს გადაეცა.

◆ **ლექცია და სინემატოგრაფი.** დღეს პირველი რაიონის მუშათა კლუბის შენობაში (ნაძალადევი) მ. არსენიძე წაიკითხავს ლექციას: „სოციალიზმის ისტორია“. ლექციის შემდეგ სინემატოგრაფი, მსმენელთათვის სინემატოგრაფზე შესვლა უფასოა. დასაწ. 7 საათ.

◆ **ოზურგეთის** ქალაქის თვითმართველობის და კოოპერატივ „ეკონომის“ თავალებით გაიგზავნა ეჟიფანგ ცეცხლაძე კავკასიაში და სხვა ადგილებში პურის და სხვა სანოვაგის საყიდლათ დამშეულ გურიაში გასაგზავნად.

◆ **სასოფლო კომისიას** წყნეთიდან ატყობინებენ, რომ იქ ზოგიერთი სომხის მოაგარაკე მდიდრები და ბნელი ელემენტები პროვოკაციას ეწევიან, ვითომდა წერეთელმა რუსეთი გაყიდა, გეგეჭკორმა კი ბათუმი და სხვა. ახალმა მთავრობამ აწეწ-დაწეწა ყველაფერი, გააძვირა სანოვაგე და ნორმალური ცხოვრება აათორიაქაო. სასოფლო კომისია გზავნის წყნეთში თავის წარმომადგენელს.

◆ **მუშტაიდის** დემოკრატიულ კლუბში დღეს გაიმართება ა. პ. ჩეხოვის სახსოვრად სალამო. შემდეგ სიტყვას წარმოსთქვამს ი. ლვოვი. შემდეგ რუსული დასის მიერ გაიმართება წარმოდგენა.

◆ **საგარეჯოდან** სასოფლო კომისიას სთხოვენ, რომ იქ გაგზავნილ იქნას 2 აგვისტოსათვის პროპაგანდისტი. კომისია გზავნის თავის წარმომადგენელს.

◆ მოქალაქე ქურჩიშვილმა ომისგან დაზარალებულ გურულებს შესწირა 1000 მან. მანვე შესწირა სომეხ ლტოლვილთა სასარგებლოთ 1,000 მან.

◆ **ზორჯომის ს.-დ მ. პ. ორგანიზაციის საყურადღებოთ.** თფილისის კომიტეტი ს.-დ. მ. პ. გთხოვთ დაუყოვნებლივ [illegible] სურათები და სხვა. დ[illegible] ანგარიში გაასწოროთ.

◆ **წითელი ჯვარი.** მთავრობამ მოიწონა ექიმ მ. ზანდუკელის შუამდგომლობა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დაარსების შესახებ. ამ საზოგადოებას გადაეცემა საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი წითელი ჯვრის ქონება. საჭირო მოხსენება-წესების წარდგენა უახლოეს დროისთვის დაევალა ექ. ზანდუკელს.

◆ **ალექსანდროპოლიდან** ჩამოსული რუს აფიცრების გადმოცემით, რუსებსა და თათრებს შორის კარგი დამოკიდებულებაა; ცოტა გამწვავებულია დამოკიდებულება ქართველებსა და სომხებს შორისო.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, სალამოს 7 საათზე, დანიშნულია მე-4 რაიონის კოლექტივის კრება (უდელის ქ, № 3, მე-6 ვაჟთა გიმნაზიაში) გასარჩევია საჭირო საქმეები, არჩევა მდივნის და სხვ.

— დღეს, 12 საათზე, დანიშნულია ეროვნულ საბჭოს სოც.-დემ. ფრაქციის მორიგი სხდომა.

— დღეს, სალამოს 6 საათზე, დანიშნულია მეორე რაიონულ კოლექტივის წევრთა სხდომა.

— დღეს, სალამოს 6 საათზე. კოლექტივის ბინაზე დანიშნულია მე-6 რაიონის კოლექტივის კრება.

# პროვინციის ქრონიკა

**სოფ. ზემო ავჭალა.** ზემო ავჭალის სახალხო კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებამ წარსულ ორ კვირა დღეს ზედი-ზედ გამართა „ფინჯანი ჩაი“ ადგილობრივ წიგნთ საცავს სამკითხველოს სასარგებლოდ ამ გვარ „ფინჯან ჩაის“ ეს საზოგადოება იმავე მიზნით მართავს მომავალ კვირას ოთხ აგვისტოსაც; და გამართავს შემდეგ კვირა დღეებშიაც ენკენისთვის შუა რიცხვებამდე.

**ოზურგეთი.** სავაჟო გიმნაზიას ესაჭიროება გერმანული ენის მასწავლებელი, მსურველმა უნდა მიმართოს სასწავლებლის უფროს ბ-ნ ილია ცეცხლაძეს ოზურგეთში.

**გურია.** შიმშილობამ გურიაში უმწვავესი ხასიათი მიიღო: საზოგადოებათა წარმომადგენლები თუ კერძო პირები ყველგან გაფაციცებით ეძებენ საზრდოს.

გული გიკვდება... გაკითხვა, შებრალება არ არის, არამც თუ ცოტა უცხო არ იჩენს სიბრალულს არამედ თვით მეზობელი მეზობელს დიდი ხათრით ფუთ სიმინდში 80—120 მან აძლევინებს. გაყიდეს მეწველი ძროხები, დააგირავეს მომავალი წლის სარჩო, გაიხადეს ფეხთსაცმელ, ტანთ საცმელი და ყველა ეს გადაიტანეს სამეგრელოში, სადაც სიმინდს ფულზე უფრო ხალისით სცვლიან იარაღზე და ტანისამოსზე—გაძარცულია მთელი გურია, მაგრამ ის მეზობელთაგან გაცარცვა-დამცირებას, ოჯახის განადგურებას მაინც მხნედ იტანს,— იცის რომ მთავრობა ზრუნავს, გურიის ზოგიერთ სოფლებში ერთი თვის საზრდოს მეტი ვისაც ჰქონდა ჩამოართვეს.

საბედნიეროთ უკანასკნელი შეკრებილი ცნობებით ამ დღეებში გურიაში გაიგზავნა: ფოთიდან (ოზურგეთში) 2 ვაგონი პური და 350 ფ. სიმინდი, საჯავახოში 600 ფ. პური, აკეთისათვის (ნიგოითით) 500 ფ. პური. ქერჩში საგანგებოთ გაგზავნილმა ბ. ნიკ. შ. ცინცაძემ ჩამოიტანა ფოთში ექვს ვაგონამდე თეთრი პურის ფქვილი, განკარგულებაა უკვე მოხდარი და თფილისიდან 2 ვაგ. იგზავნება ოზურგეთში, 1 ლანჩხუთში და 500 ფ. საჯავახოში. მიწათ მოქმედების მინისტრი ატყობინებს სასურსათო მინისტრს, რომ ერთ კვირაში 6 ვაგონს ხორბალს ის გააგზავნის ყარაიაზიდან გურიაში, მზადდება აგრეთვე ბორჩალოს მაზრიდან რამოდენიმე ვაგონი. ამ რიგად მთავრობა ყოველივე ღონისძიებით [illegible] გურულებს [illegible] შიმშილით არ ამოწყვიტოს. ვიმეორებთ საარაკოა გურულების მოთმინება და სრული იმედია იქ წესიერება არც აწი დაირღვევა.

# კავთისხეველი „სოციალისტები“

თფილისში გამოდის გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“, რომელიც **სოციალისტ-ფედერალისტთა მუშათა კავშირის გაზეთს** უწოდებს თავის თავს. აქ დასტამბულია წერილი კავთისხევიდან. ამ წერილმა ორი რამით მიიქცია ჩემი ყურადღება. რა მიზეზია, რომ „მუშათა სოციალისტურ გაზეთს“ უკვირს: „სომეხი მასწავლებელი რაღაც უცნაურობით ქართულის სკოლის უფროს მასწავლებლად არის დანიშნულიო“. ნუ თუ არ იცის „სოციალისტურმა“ გაზეთმა, რომ გორის მაზრის და კერძოთ კავთისხევის სომხები მხოლოდ სარწმუნოებით არიან სომხები? იმათაც არარატის რესპუბლიკაში გადასახლებას ხომ არ უპირებს ქართული სოციალისტ-ფედერალისტური გაზეთი? რატომ არ შეიძლება მკვიდრი სომეხი, რომელმაც ქართული ენა ისე კარგათ იცის, როგორც თავისი სამშობლო ენა, ქართულ [illegible] უფროს მასწავლებლათ იყოს? [illegible] სოციალიან თუ არა [illegible] გარემოება [illegible] ლისტ ფედერალისტებმა და თუ იციან, რა ზომებს იღებენ, რომ მათი სახელით შოვინისტური აგიტაცია არ იქნას წარმოებული?

ალბათ ამით აიხსნება „სოციალისტ-ფედერალისტის“ გამოლაშქრება „მეწისქვილე“ მჭედლოვის წინააღმდეგ. მე ვიცნობ ძმებს მჭედლოვებს; ერთი იმათგანი 1904 წლიდან მუშაობს პარტიაში, მეორეც, უფრო ახალგაზდა,—დიდი ხანია შეძლების და გვარათ ემსახურება განმათავისუფლებელ მოძრაობას. მართალია მათ წისქვილი აქვთ, მაგრამ ნუ თუ ეს საძრახისია სოფლის მცხოვრებისათვის. ამიტომ სამწუხაროთ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ვიღაც ბნელ პირებს შეცდომაში შეუყვანიათ კომისარი, რომელმაც ამას წინათ მჭედლოვები დაატუსაღა. გორში დაუყონებლივ გაანთავისუფლეს მჭედლოვები, მაგრამ კომისარს მაინც ჩამოურთმევია იარაღი, თუმცა რამდენათ მე ვიცი, მჭედლოვი გვარდიაშია ჩაწერილი. ახლა კიდევ ვიღაც სტრელოჩნიკი აწარმოებს ბრძოლას გაზეთ „სოციალისტ ფედერალისტში“.

საჭიროა ამას ბოლო მოეღოს. საჭიროა გამოძიებულ იქნას ეს საქმე, რომ დამნაშავე ღირსეულათ დაისაჯოს. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ როგორც თვით კორესპონდენტი აღნიშნავს, მჭედლოვები სოციალდემოკრატიის ნდობით სარგებლობენ.

ერთი კაცის დაჩაგვრაც არ არის დასაშვები; მაგრამ მჭედლოვის სახით აქ იჩაგრება ინტერნაციონალიზმი, რომლის წინააღმდეგ აღვირახსნილი ნაციონალიზმი და კაცთმოძულეობა ირაზმება.

საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს და თუ მჭედლოვები მართლა ბოროტად სარგებლობენ ჩვენი ნდობით, მათაც მიიღონ შესაფერი სასჯელი.

კ ნინიძე.

# ერობის გარშემო

ოზურგეთის მაზრის საერობო საარჩევნო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ სამაზრო ერობის ხმოსანთა არჩევნები მთელს მაზრაში მოხდება 18 აგვისტოს (ახალი სტილ. თ) მაზრა დაყოფილია 3 საარჩევნო ოლქად:

1) ოზურგეთის ოლქი—(ყოფილი გურიანთის საბოქაულო) ირჩევს—7 ხმოსანს. 2) ლანჩხუთის—(ლანჩხუთის რაიონი)—ირჩევს 9 ხმოსანს. 3) ჩოხატაურის რაიონი ირჩევს 9 ხმოსანს. ქ. ოზურგეთი—ირჩევს 2 ხმოსანს.

ამრჩეველთა სიები უნდა გაიკრას 1 აგვისტოს. სიების შესწორება შეიძლება 8 აგვისტომდე[illegible]

პარტიებმა და ჯგუფებმა ასარჩევ კანდიდატთა [illegible] საარჩევნო ოლქების თავმჯდომარეებს არა უგვიანეს 10 აგვისტოსა.

თავმჯდომარეებათ დანიშნულნი არიან: ოზურგეთის ოლქში—ყარამან ქარცივაძე; ლანჩხუთის—ლუკა კვიტაიშვილი და ჩოხატაურის—აფთონ ცინცაძე.

საარჩევნო ყუთები იდგმება ყველა საზოგადოებაში.

თავმჯდომარე სამაზრო საერობო საარჩევნო კომიტეტისა **ბიქტორ ღლონტი.**

მდივანი **მიხ. ხაზაშვილი.**

# სახჩერეში

**21 ივლისი.** დილით ადრე მზადება შეიქნა. მარჯვენა ფრთა სდგას იქ, სადაც გაშენებულია კორბოულის საზოგადოება და რომელიც დაშორებულია ქალიდან 18 ვერსით.

ნაწილი გურიის გვარდიისა, ფხაკაძის ცხენ. რაზმი, გამყრელიძის რაზმი, „პულემეტებით“ არტილერიით თვით იმხნელის მეთაურობით წავიდენ კორბოულისაკენ.

თვით ქალაში დილიდანვე ხალხმა იწყო სკოლის ეზოში მოსვლა. ყვირილის მიმართულებით ხდებოდა დაზვერვა და კანტი-კუნტი სროლა.

წინ ღამით გაასვენეს მოკლული არტილერისტი. დილით ადრე ცნობები მოვიდა „ბანდების“ მზადების შესახებ. 9 საათიდან არტილერიაც ამუშავდა.

10 საათზე ქალაში გამოჩნდა ორი მოხუცი თეთრი დროშით, რომელთაც მოჰყვებოდენ მხვერავები, რის შემდეგ ზარბაზნების სროლა შესწყდა. ისინი თვალახვეულნი შემოიყვანეს სამხ. შტაბის დარბაზში.— ახ. ქრისტიანებო, ღმერთი იყოს თქვენი შემწე!—აკანკალებულის ხმით წამოიძახეს მათ. შტაბში ამ დროს იყვნენ [illegible] აფიცრები და ზოგიერთი ამხანაგები. დელეგაციამ მათ გადასცა წერილი. წერილს იწერებოდა ტყვე ამხანაგები, ოსების სოფლიდან წინა დღით გატაცებული არტილერისტები. „სალამი ამხანაგებს! ჩვენ გაჭირვებას განვიცდით. გუშინ ტყვეთ ჩავარდით. აფიც. სიმონ მაჭავარიანი, რომელიც მძიმე დაჭრილია და უპატრონოთაა, გრიგორი მესხი, შალიკო მიქაბერიძე, ალექსანდრე წერეთელი. აქვე დაგვხვდა მე-12-ე პოლკის ოთხი ჯარისკაცი ტყვე და ერთიც დარკვეთის რაზმისა. [illegible] მდგომარეობას განიცდიან. თქვენ იცით“. ხელს აწერდა პორ. გ.... წერილი ოსმა დელეგატმა მოიტანა და მან შეკითხვაზე დაბნეულათ განაცხადა: თქვენმა ტყვეებმა გამომატანეს და სამაგიერო ტყვეებს მოითხოვენო.

— არიან თუ არა შეიარაღებულები და სად არის მათი შტაბი?—შეეკითხენ.

— შეიარაღებულები არიან. შტაბი არაა. არც ვიცით.—იყო პასუხი აბნეულათ.

— თქვენ რას იტყვით? რისთვის მოხვედით?

— ჩვენ არაფერი არ ვიცით. მოდიან და გვრევენ. ერთი მეორეს გვახოცინებენ. გვეუბნებიან ბატონყმობას აღადგენენო. ოსებს და მთის ქართველებს აგყრიან და გადაგასახლებენო. ეხლა ჩვენ მორჩილებას გიცხადებთ. რას გვიბრძანებთ ავასრულებთ. ნუ დაგვანგრევენ.

— ტყვეები ვის ხელშია? რათ არ მოიყვანეთ თუ თქვენ მშვიდობა გინდათ.

— ტყვეები დასტოვეს. შემოჭრილი შეიარაღებულები გაიქცენ მთებისაკენ, თან გაიტაცეს ცხენები, იარაღი და რის წაღებაც შეიძლებოდა. ერივნენ რაჭიდანაც.

— ძველი ტყვეები სად არიან?

არ ვიცით,—ჩვენი ბრალი არ არის.

— ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილება მტკიცეა. მას უნდა დამორჩილდეთ, უნდა აასრულოთ ყოველივე. დღეს უნდა დაგვენგრია თქვენი სოფლები, მაგრამ რადგანაც თქვენ გამოჩნდით თეთრი ბაირაღით, ჩვენ შევაჩერეთ ზარბაზნების სროლა და ჯარების წინსვლა.

— ძალიან გვეშინია. გვაჩვენეთ გენაცვა ეგ თქვენი ზარბაზანი, ჯერ არც კი გვინახავს რა ნაირია. შეშინებული სთქვეს მათ.

სამხედრო უფროსებმა მათ გადასცეს ულტიმატუმი და დრო დაუნიშნეს.

დელეგაციამ თანხმობა განაცხადა, მხოლოდ თავის სოფლების მხრივ ქალას ზევით კი 9 სოფელია 5 ქართველების და 6 ოსების. შემდეგ იწყება საზღვრები.

დელეგაციის შემდეგ სიწყნარე ჩამოვარდა სამხედრო მოქმედების მხრით.

2 საათამდე ქალის ეკლესიასთან დიდმა ძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მიტინგი გაიხსნა მ. ჯიბლაძის წინასიტყვაობით და მანვე დაუყენა შეკითხვები ხალხს:

— ილაპარაკონ, რა აწუხებთ, რაშია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე. იწყება ლაპარაკი. ლაპარაკობენ მოხუცები.

სიტყვა I. ჩვენ დაგვარწმუნეს თავად-აზნაურობამ დაიქ რავა გვარდია, მოისყიდა მთავრობა და მიწებს გვართმევენ. ნასყიდობის ქაღალდები მიაქვთ და ძველ პირობებში გვაგდებენ.

სიტყვა II. აგვიხსნეს, იარაღს აგყრიან და შემდეგ ბატონ-ყმობას შემოიღებენ. ყმებათ დაგვანაწილებენ და დაგვაჯერეს. ბრეგვაძე, რომელიც მოკლეს, მას ქონდა ამისი ქაღალდი, რომ როცა ჩვენ დაგვიპყრობდა რამოდენიმე გლეხები მისი საჩუქარი ვიქნებოდით.

სიტყვა III. რუსეთს უღალატა ჩვენმა მთავრობამ. გზები დაკეტა, ეს მოახდინეს იმიტომ, რომ რუსეთში თავისუფლებამ გაიმარჯვა, ეს არ უნდოდა ჩვენს მთავრობას. გამოეყო და ჩვენ გვიმონებდა.

სიტყვა IV. მოსულებმა და ჯარისკაცებმა აგვიხსნეს, რომ თათრებთან ომი იმიტომ მოაწყო მთავრობამ, რომ გლეხები უნდა წავეყვანეთ, თათრები კი მთავრობასთან შეთანხმებით დაგვხოცდენ ბურჟუები და თავად აზნაურობა გამეფდებოდა.

სიტყვა V. ჩვენ გადავწყვიტეთ ბატონ-ყმობას სიკვდილი გვირჩევნია. და მზათ ვიყავით ცოლ-შვილიც დაგვეხოცა. გვითხრეს აგრეთვე თათრებს გარდა გერმანელები მოიყვანეს ჩვენთვის.

მგზავსი სიტყვები ბევრი იყო, გამოირკვა, რომ დიდი მუშაობა ქონებია ბნელ ძალებს და „ბოლშევიკებს". ზოგიერთი სიტყვებშიც ისიც მოსჩანდა, რომ ნიკოლოზის გამეფებაზედაც უქადგნიათ, განსაკუთრებით ოსის შაგრაზძელებს. კრებაზე გავიგეთ, რომ ჩვენს ბონებს ხალხი ზოგან არც კი ღებულობს შექმნილი პირობების გამო. არ იციან ჩვენი ახსნა-განმარტება მომხდარ მოვლენებზე.

შეკითხვების შემდეგ მ. ჯიბლაძემ ვრცლად გააცნო ჩვენი მიზანი. შემდეგ ილაპარაკა ამხ. ზ. გურულმა. კრება, რომელიც დაფიქრებული გაიხსნა სრ[illegible] გამოიცვალა. ითქვა გასაგები ენა, უეცრად, სიბნელით მოცულ ხალხში სინამდვილე-ჭეშმარიტების ხმა გაისმა თოფ-ზარბაზნების გრიალის შემდეგ. გზა და გზა სიტყვები იწვევდა მიტინგში სიხარულს, მოწონებას, ტირილს, ცრემლებს და ქვითინს.

მოხდა გადატრიალება. ვიცით მოგვატყუეს. გმადლობთ, მოგვეხმარეთ. აი მიტინგის ამოძახილი, მიიღეს რეზოლუცია: „ქალაში მომხდარი მიტინგი არაგვთისა და ჩიხის საზოგადოებისა, ახსნა-განმარტების შემდეგ სრულ ნდობას უცხადებს საქართ. რესპუბლიკის მთავრობას, ღებულობს მის მორჩილებას, აღუთქვამს მხარის დაჭერას. მიტინგი ზიზღს და პროტესტს უცხადებს იმ პროვოკატორებს, რომლებმაც შეცდომაში შეიყვანა ხალხი" და სხვა.

მიტინგი აგრეთვე დაეთანხმა სამხ. შტაბის, გ. მგელაძის მოთხოვნილებას: 1) სასადილოების გაწვევის შესახებ; 2) ნაძარცვი ნივთების დაბრუნების შესახებ; 3) იარაღის ჩაბარების და 4) მეთაურების გაცემის შესახებ. ყველა სოფლებიდან იქვე იქნა არჩეული საგანგებო კომისია. კრება საღამოს დაიშალა. დაიშალა სხვა განწყობილებით, ახალი სულით და თუ წინათ მტრული თვალით მუხანათურათ დაგვყურებდნ, შემდეგ გარს გვერტყმოდენ „მოსყიდულ გვარდიის" და ყველაფერს მოგვითხრობდენ. ეს კრება პირველი სიგნალი იყო, რამაც გამოიწვია ძირითადი ცვლილება; დაიწყო ახალ-გაზრდების გამოჩენა, იარაღის ჩაბარება, ახალი ამოძრავება.

დაბინდებისას ჩვენს გვარდიის სადგომში რამოდენიმე ახალ-გაზრდები მოვიდა. მათ ბევრი რამ გადმოგვცეს; ერთი მათგანი ახალგ. 19 წლისა ჩვენ წინაალმდეგაც ყოფილიყო ჩიხთან ბრძოლაში, რომელმაც გვითხრა,—ძალით წამიყვანეს და შემდეგ თოფი წამართვეს. მანვე გვთხოვა, თუ თქვენთან წამიყვანთ, წამოვალო. დილის 12 საათიდან მთელი დღე და ღამე სიწყნარე იყო.

22 ივლისი. დილიდანვე აქ-იქ ყანებში მომუშავენი გამოჩდენ. სოფლებში გადმოდიან ახალ გაზრდები, მოაქვთ იარაღები, ცნობები, მოდიან გახიზნულები. ერთგვარი ნორმალური ცხოვრების ნიშნები ემჩნევა. ვისთვისაც იარაღი წაურთმევიათ, თუ უიარაღო ახალ-გაზრდები სამხედრო შტაბში ცხადდებიან, ჩვენებას აძლევენ.

12 საათზე პერვიდან მოვიდა დელეგაცია, რომელმაც მოიყვანა ორი დაჭრილი ტყვე ჯარისკაცი და ერთიც არა სამხედრო პირი, დელეგაციამ შემდეგი განაცხადა: დანარჩენ 5 ტყვეს მაშინ მოვიყვანთ, როცა ჩვენს ტყვეებს მოგვცემთ. ისე კი ხალხი მორჩილებას აცხადებს. ყველაფერს აასრულებს, მხოლოდ ჩვენს მიწებს ნუ წაგვართმევთ. ხალხი დაჯერებულია, საკუთარ მიწებს ართმევენ გლეხებსო, ამით შეშინებული ვართ ყველა, გამზადებული გვაქვს ნასყიდობის ქაღალდი, „სკლადნოი ლისტები" და ყველა საბუთები".

დელეგაციას ახსნა-განმარტება მისცეს და მოსთხოვეს დამორჩილება, დარჩენილი ტყვეების ჩამოყვანა.

საღამოს ხალხმა იწყო მოტანა ქალაში გატაცებულ ნივთებისა. მოდიან ყოველივე კუთხეებიდან დაპყრობილ ადგილებში.

სოფლებში თვით გამოიძიება, ეძებენ თოფებს, ნივთებს, გადამალულ ახალგაზრდებს, ფიცს ახდენენ.

სახე-შეცვლილი, შემკრთალი ახალგაზრდები, ზოგი „დეზერტირები" ჩვენთამ მოდიან და დარცხვენით ისმენენ საუბარს, შეცდომას აღიარებენ, დახმარებას აღგვითქვამენ.

ღამე კორბოულის მხრიდან ცნობები მივიღეთ, რომ ბრძოლა იყო. გადაიწვა რამოდენიმე სახლი. ჯარი მშვიდობიანათ შევიდა კორბოულში. „აჯანყებულნი" პურ-მარილით შეეგებენ. საქართველოს რესპუბლიკის ჯარებს მორჩილებას უცხადებენ. იარაღს აბარებენ. ყველა მოთხოვნილებაზე თანხმობას აცხადებენ. იმართება დიდი მიტინგები, ხალხი მიმდინარე ამბებს ეცნობა. „ბანდები" გარბიან.

23 ივლისი. დღემ მთელ მხარეში სიწყნარით ჩაიარა. არსად სამხედრო მოქმედება არ განახლებულა. სოფლებში მუშაობა დაიწყო. გაქცეულები ბრუნდებიან. დახიზნულებიდან ბევრი დაბრუნდა. იარაღის აყრა გაგრძელდა. კორბოულიდან დაბრუნდა ნაწილი ჯარისა.

პერევიდან მოვიდა ქართველ-ოსთა დელეგაცია. მოიყვანეს დარჩენილი 5 ტყვე. ჯარების უფროსმა კაპ. იმხნელმა დელეგაციას გადასცა კატეგორიული წინადადება და გაისტუმრა.

სიკვდილის პირში ჩავარდნილი ტყვეები და შემთხვევით გადარჩენილნი ჩვენში დაფიქრებას იწვევდა. ისინი დალონებასთან ერთად სიხარულსაც განიცდიდენ; ერთმა ტყვემ ამხ. შალ. მიქაბერიძემ შემდეგი მოგვითხრო; „ჩვენ შეშინებული ვიყავით. ცუდათ [illegible] საქციელი ქართველ[illegible], არა ერთხელ განიზრახეს ჩვენი დახოცვა, მაგრამ ოსებმა გადაგვარჩინეს. ქართველები სასტიკათ იქცევიან, ოსები რაღაცას ანგარიშს უწევენ. ხვალინდელ დღეზე ფიქრობენ. ჯარზე, გვარდიაზე ისეთი წარმოდგენა აქვთ, როგორსაც პროვოკატორები ავრცელებენ. მიწების წართმევაში დარწმუნებული არიან. ქვეყანას უმთავრობოთ სცნობენ. დაგვარწმუნეს ჩვენ, რომ 9,000 პატრონას და სხვა მასალებს ვლადიკავკავიდან მივიღებთო. იქიდანვე ელიან ძალებს, ზარბაზნებს. გლეხებმა ჩვენ გვიამბეს, რომ გვარდია მოდის იმიტომ, რომ დაგვიპყრობენ და შემდეგ თავის ყმებათ გამოგვაცხადებენო".

ამხანაგის გადმოცემული ცნობები კიდევ ნათლათ ადასტურებს იმ აზრს, რომ საჩხერეს ამბები, ოსების მოძრაობა, გლეხთა მღელვარებას დიდი კავშირი აქვს დუშეთ-ვლადიკავკავთან, საერთოდ მთელ ანარქიით მოცულ ცენტრებთან, „ბოლშევიკთა" საერთო გეგმებთან.

ამას ამტკიცებს ნახული, გაგონილი და ჩვენს ხელში თავმოყრილი „დოკუმენტები".

24 ივლისი. ღამით კორბულიდან მესამე დღის შემდეგ ჯარი მშვიდობიანათ დაბრუნდა. კორბულში წასულ გურიის რაზმის ნაწილის ხელმძღვანელმა მ. ელიაძე შემდეგი გვიამბო, მთებში წინ სვლის შემდეგ სოფლებში შევედით „ბანდები" ჩვენს მოახლოვებისას გაქრენ, შესვლისას დაიწვა რამდენიმე სახლი. ხალხი ჯარს წინ გვეგებებოდა და მორჩილებას აცხადებდა. გაიმართა რამდენიმე კრება იარაღს ყრიან. ჯარისკაცები გამოდიან, მთავრობის ყოველ მოთხოვნილებაზე თანხმობა განაცხადეს. ზოგიერთმა მემამულეებმა ჩვენი მისვლა ისე გაიგეს კორბოულის სოფლებში, როგორც „ბოლშევიკები" ჩვენს შესახებ ავრცელებს ხმას ე. ი. მათ მიწებს აღარ ჩამოართმევენ, მაგრამ როცა ჩვენი მიზანი გაიგეს, განცვიფრებული დარჩენ. სოფლებში მღვდლებიც ძველებურათ გაბატონებული ყოფილა, არაფერს არ იკლებენ და დრამა ფულსაც აგროვებენ. „ბანდების" გაბატონების შემდეგ დიდი ძარცვა გლეჯა ყოფილა. ხალხმა თანდათანობით იწყო მოსვლა სოფლებში. ყანებში მუშაობაც ჩქარა დაიწყება.

დღეს მთელ სამხედრო მოქმედების ასპარეზზე სიწყნარე იყო. პერევიდან მოსულ დელეგაციას უკანასკნელი ვადა მიეცა. განაპირა მხარეებში გასულ მზვერავებს გარდა ჯარი ისვენებდა. ტყვეობიდან ახალ გამოჩენილ ახალგაზრდებთან, რომელთაც იარაღი მოქონდა საუბარი იმართებოდა.

ნაშუადღევს გაიმართა გურიის რაზმის კრება. კრებაზე საჩხერეს კითხვა დაისვა. კრების დასრულებამდე ამხ. ზ. გურული მოვიდა, რომელმაც რადგანაც გაზეთებს ვერ ვღებულობდით სისტემატიურათ უკანასკნელი. ამბების შესახებ მოხსენება გააკეთა კრებამ მიიღო შესაფერი დადგენილება.

25 ივლისი. დილის ათი საათიდან სამხედრო მოქმედება დაიწყო. ჩვენი ჯარები არტილერიის დახმარებით პერევისაკენ დაიძრა, სადაც „აჯანყებულთა" ცენტრი იყო. ბრძოლამ და შეტევამ მკაცრი ხასიათი მიიღო, ჯვრიაში და პერევში ყუმბარებმა ცეცხლი გააჩინა. იწვის რამოდენიმე სახლი. ვიწრო ხეობით, მთებით პერევს ალყა შემოარტყეს. მოწინააღმდეგენი გარბოდა. საღამოს ჩვენი ჯარი პერევში შევიდა.

ან. ხ.

## დუშეთის მაზრის ცხოვრებიდან

20 ივლისი. სოფლის მისახედავათ და გამოსაფხიზლებლად იმ თრიაქისგან, რომლითაც გამოაბრუეს ხალხი პროვოკატორებმა—მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტმა გამოჰყო სასოფლო კომისია. ამ კომისიამ გაჰგზავნა რამდენიმე პირი სოფლად სამუშაოდ, პროპაგანდის გასაწევათ. სამწუხაროდ, სასოფლო კომისიას ჯერ-ჯერობით მომუშავენი ცოტანი ჰყავს... აბა მარტო იგინი რას გააწყობენ იქ, სადაც ყველაფერი მინგრეულ-მონგრეულია და ხალხის გონება ყირამალა გადაბრუნებული.

ჩვენ დუშეთის მაზრაში გაგზავნილებმა გადავსწყვიტეთ დახმარებისთვის მივმართნა გვარდიელებისთვის. გვარდიაში იმყოფებიან ჩვენი მოწინავე მუშები და, ცხადია, მათ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ.

ერთ-ერთ კრებაზე ჩვენ გავუზიარეთ ჩვენი აზრი. ვუთხარით, რომ ამ გზით ორნაირი საქმე გაკეთდება. ერთის მხრით გვარდიელები პროპაგანდისტობას გასწევენ და მეორეს მხრით გლეხებს გაუფანტებათ გვარდიელებისადმი შიში, მათა ჰგონიათ ვითომც გვარდიაში იყვნენ თავადების შესყიდული პირნი... გვარდიელების სოფელში გასვლით მოელება ბოლო უხამსი ჭორსა, დაუახლოვდება სოფელი გვარდიას, და შეიყვარებს... იგი მეტის ხალისით შეხვდება და იარაღსაც უყოყმანოდ ჩააბარებს.

დუშეთში დ. ხართიშვილმა გვარდიელებს გააცნო სასოფლო კომისიის მიზანი.

— დუშეთის, გორის, ტიანეთის, რაჭა-ლეჩხუმის ამბებმა დაგვიყენეს საკითხი სოფლად პარტიულ და დემოკრატიულ მუშაობის საჭიროებისა. ჩვენ ძველადაც არ გვყოფნიდა ძალები და ახლა მით უფრო მეტი ხალხია საჭირო, ჩვენი ამხანაგები თოფის ქვეშ იმყოფებიან... სანამ ფიცხელი ბრძოლა იყო ჩვენი გვარდია შეუსვენებლივ იბრძოდა. ახლა როცა მინელდა ბრძოლა—საჭიროა დუშეთში მყოფი ამხანაგები, როცა თავისუფალნი იქნებიან გავიდენ სოფლათ და იმუშაონ. ხალხმა უნდა გაიცნოს თქვენი ვინაობა, თქვენი სული, მისწრაფება. იგი თანდათან დაინახავს ვინცა ხართ და დარწმუნდება, რომ თქვენ მათ საკეთილდღეოთ იბრძვით.

ხალხი უნდობლათ, უყურებს კომისრებს, ამილახვარს და როგორებიც უნდა იყვნენ იგინი—ხალხს მაინც შიში მოიცავს ხოლმე, როცა იგინი გამოჩნდებიან... ხალხი ჰფიქრობს მართლა თავადებს უგდიათ ძალა ხელში და მოდის შურისსაძიებლათო...

ასეთი პირების შესვლით სოფელს გული უსკდება და იმედი ეკარგება დამშვიდებისა.

გვარდიელებმა აღნიშნეს უკადრისი საქციელი მფრინავ რაზმებისა და დაადგინეს დიდი ყურადღება მიექცეს, რომ ამიერიდან აღარ გამეორდეს ამის მსგავსი მაგალითები.

სოფლებში მუშაობის შესახებ კიდევ საჭიროთ სცნეს და შესაძლებლათაც ჩასთვალეს როდესაც გვარდიელები თავისუფლები იქნებიან გავიდენ სოფლათ და იმუშაონ პროპაგანდისტების ხელმძღვანელობით.

21 ივლისი. სწორეთ დუშეთზეა ნათქვამი: უიღბლოს ქვა აღმართში მოეწიაო...

ჯერ იყო და იმ ამბოხებამ შოშხამა ხალხი, ყველა ოხერი მასის სიბნელით სარგებლობდა და ამოქმედებდა როგორც მოეპრიანებოდა.

ახლა მათ ამოეკრათ პანჩური, მაგრამ სოფელს მაინც არ ეშველა... სოფელი დამსგავსებია იმ დაკოდილს, რომელიც მიტოვებულია მინდორზე და ამათ ელის მშველელს... დუშეთის მაზრის კომისარიატი უნდა გადაქცეულიყო ამბულატორიათ, რომლისკენაც უნდა ეწყოდენა სულიერათ დაჭრილ-დასახიჩრებულებს... აქ უნდა მოსულიყო ყოველი, ვისი გულიც დაკოდილია მტრის მგესლავი ენით...

კომისარიატში თბილი სიტყვა და ძმური სალამი მალამოთ უნდა დახვდებოდა ხალხს, რომ დაეშუშებოდა ჭრილობანი, მაგრამ არ ვხედავთ ჩვენ ამას.

მე კარგა ვიცი, თუ რა დიდი სივაგლახე გამოიარა მაზრის კომისარმა; ბოლშევიკების შემოსევის დროს მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, ვერც გადაურჩებოდა გამხეცებულ ბრბოებს, რომ ტანისამოსი არ გადაეცვა და ისე არ გაპარულიყო, მაგრამ ეს გარემოება როდი უნდა გვაძლევდეს ნებას მარად ხალხის დატუქსვაზე ვფიქრობდეთ. თუ მე მკითხავთ მთელს დუშეთის მაზრის სოფლებში კაცს ვერც კი იპოვნით მონაწილეობა არ მიეღოს გამოსვლებში და თუ ასეთი აღმოჩნდა—ყოვლათ უვარგისი და ბედასლი იქნება, რომელსაც თავი არა ჰქონია წინააღმდეგობის გაწევისა... მაშ მთელი მაზრა უნდა დაისაჯოს. მაშ რაღათ გვინდა ან მცხოვრებთა დამხმარე კომიტეტი, ან პროპაგანდისტები?.. ავ ენებმა იმდენი ქნეს, რომ არა მარტო სოფელი გადაჰკიდეს გვარდიას, არამედ იმერლებსაც.

ისეა დუშეთის მაზრა მოწამლული, რომ ყველგან მტერი ეჩვენება.

— იმერლებს უნდათ თქვენი დამონებაო,—ჩასძახოდენ და ნაყოფიც გამოიღო.—მათ მტრულად უყურებენ და გიძნელდება დაუმტკიცო, რომ ისინი საუკეთესო მებრძოლნი არიან დემოკრატიისა და ისეთივე ქართველები არიან, როგორც ქართლ-კახელნი.

ამას წინეთ ს. ნატახტარს რომ ვუახლოვდებოდი, დავინახე ერთი დედაკაცი, რომელიც ფეხშიშველა მორბოდა შარაგზაზე და თან სტიროდა! ვკითხე: რა ამბავია, დედი, რა გატირებს-მეთქი.

— რაღა რა ამბავია, შვილო,—მომიგო მან,—იმ გასაწყვეტ იმერლებს მოუყრიათ თავი დუშეთში და ხვრეტენ ტუსაღებს... ჩემი შვილი ჰყავთ დაპატიმრებული და მეშინიან არა დამართონ რაო.

ჩვენ სოფლებს, სხვათა შორის დაპირებებითა ვკვებავთ. მე ვთხოვდი მიწათ-მოქმედების სამინისტროს გამოეგზავნა რომელიმე ტეხნიკი და ამ გზით უფრო მეტს ნდობასა და სიყვარულს მოუპოვებდა, ვიდრე პროპაგანდისტის მუშაობა.

მიუხედავათ იმისა, რომ უკვე შელამებულია და დაღლილ-დამაშვრალი ძელები მუშისა ითხოვენ მოსვენებას, მაინც მოდიან კრებაზე დასასწრებლად. თუ პირველ კრებას, რომელიც ამ ერთი კვირის წინათ გაიმართა, ნაკლები დაესწრო შიშის გამო ახლა ბაზალეთელებმა გაგვიცნეს და უფრო მეტის ნდობით გვეკიდებიან. ქალებიც ბლომათ მოვიდნენ. პირველად ვხედავ სოფლელ ქალებისაგან ასეთ დაინტერესებას.

მცხოვრებთ დავუწყე ლაპარაკი ერობის დანიშნულებაზე. აღვნიშნე რომ იგი მოკლე დროში სკოლებითა და საავადმყოფოებით მოჰფენს საქართველოს, გაიყვანს გზებსა და არხებს, გამოიწერს სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, რომელნიც ბევრად გაუადვილებენ მუშაობას. მათ ეს იამათ და სთქვეს: ძალიან გვქანცავს პირველ ყოფილ იარაღებით მუშაობაო. სისხამ დილიდან ხშირბინდამდის ვმუშაობთ და ბარაქას მაინც ვერა ვხედავთ.

— სწავლა-განათლებისთანა არა არისრა. ყველაფერს გავყიდი, ბაღჩასაც და სახნავსაც ოღონდ რამე ღირსებოდა ჩვენს სოფელსაო,—მითხრა გლეხმა ლადო ლალიაშვილმა.

მართლაც და სწავლისთანა არა არის რა,—ჩაერია ლაპარაკში სანდრო დალიაშვილი,—იმ დღეს რომ ჩვენმა კომისარმა მიხაკომ წაგვიკითხა წიგნი „ჯორი ზაქარა" (სოფ მგალობლიშვილისა) მთელი ღამე არ მძინებია... სულ გული მემღვრეოდა წიგნში გამოყვანილ თავადის უსამართლობაზე.

— თქვენი ჭირიმეთო სთქვეს დანარჩენმა გლეხებმა: ყველას თხოვნა ის არის მთავრობას გადასცეთ სწავლა მოგვაწოდოს, გაგვანათლოს და ჩვენისთანა ერთგულს დამცველს და მეგობარს ვერსად ნახავს... მიწის სიმცირეს, კიდევ აიტანდა კაცი და უსწავლელობა პირდაპირ დამღუპველია ადამიანისათ.

ჩამორთმეულ მიწების თაობაზე შევეკითხეთ თუ როგორ ამჯობინებდა გლეხობა, მიწის იჯარით აღებას, თუ კერძო საკუთრებად შეძენას. უკანასკნელი არჩიეს: მიწაზე ფასის დადების წინააღმდეგი არა აქვთ რა.

— თუ კი ჩვენსავე საჭიროებას მოხმარდება მიწიდან შემოსული ფული ამას აჯობებს, სიამოვნებით გადავიხდით ფასსაო.

დ. თურდოსპირელი.

## ოსმალები ქობულეთში

მოსყიდული ელემენტების შემწეობით „ჩეტნიკებმა" შესძლეს კალუაის გადმოლახვა სოფელ ხინოში. შემდეგ, რაკი სოფელ ხინოში ფეხი მოიკიდა იმ უხეშმა ძალამ, ადვილი შეიქნა პროვოკაციით და სხვა ველური მეთოდებით შეუგნებელ მასაში ბატონობის განმტკიცება. მათ უპირველესად ყოვლისა ფართოდ ისარგებლეს სარწმუნოებრივი ფანატიზმით. აი სწორედ ასეთმა შეუგნებლობამ და ხალხის სიბნელემ მოუმზადა ნიადაგი საკუთარი თავისუფლების მოსპობას და მაჩანჩალა იმპერიალიზმის განხორციელებას აჭარაში. აქ გზა გაეხსნა ოსმალეთის დესპოტის აგენტებს, რომ დღიდან დღეში ქვედა სოფლებშიც ჩამოწოლილიყვენ. როდესაც ქ. ქობულეთს დაუახლოვდენ 18 ვერსით, რამოდენიმე ხნით შეჩერდენ, რომ ჩაქვის თავიდანაც ჯარი და ძალა მოახლოვებოდათ. ადგილობრივ მცხოვრებლებს დაემუქრენ: თუ თქვენ ჩვენკენ არ გადმოსულხართ, მაშინ ჩვენ ძალით დავიპყრობთ მთელ ქობულეთის რაიონს და გაგანადგურებთო.

ასეთმა დამუქრებამ დიდი გავლენა იქონია ხალხზე. ოსმალებმა რამოდენიმე პირი შეაიარაღეს, რომ ხალხს შიგნით წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოეხერხებინა, მალე მიიტანეს ქალაქ ქობულეთზე ორი მხრიდან იერიში, ერთი იყო ჭახათიდან, მეორე კი სოფელ დაგუვაიდან და შემოვიდენ. თუმცა რეგულიარული ჯარიც იყო, მაგრამ ძალიან მცირე. როდესაც „ჩეტნიკები" შემოვიდენ ქობულეთში მაშინვე ქობულეთის უფროსად დანიშნეს ცნობილი მოღალატე ჯემალ ბეგის აგენტი, ჰყონია, თანაშემწეთ ხარაზი; ამათ 13 დღეს ეჭირათ სოფელი, ქობულეთის მართველობა ხელში. მალე ოსმალებს არა რეგულიარული ჯარიც მოვიდა და ჩვენმა ქალაქმა მიიღო ნამდვილი ოსმალური სახე. როდესაც „ჩეტნიკები" შემოვიდენ ქობულეთში მათ თავიანთი სურსათი სულ არ ჰქონდათ და დაიწყეს სოფლებში ხეტიალი და ძარცვა-გლეჯა, სოფლელებს თუ რაიმე საჭმელ-სასმელი მოეპოებოდათ, ყოველისფერი მოიტაცეს; პირუტყვი რაც იყო დაჰკლეს და არავითარ ანგარიშს არ უწევდენ მცხოვრებლებს. მცხოვრებლებმა დიდი ზარალი ნახეს. ცოტა ადგილებია დათესილი. დღეს ქობულეთის მცხოვრებლები შიმშილს განიცდიან. ქობულეთელი ქალები ოსმალეთის მთავრობას და ასკერებს წყევლა-კრულვით იხსენიებენ.

სანამ ოსმალები შემოვიდოდენ, მანამ ჩვენი ხალხი სარწმუნოებრივი ფანატიზმით დაბრმავებული კარგად იხსენიებდა მათ, მაგრამ როდესაც შემოვიდენ და ჩვენმა ხალხმა თავისი თვალით ნახა ყველაფერი, მაშინ კი მიირტყეს ხელი თავზე. მაგრამ გვიან ღა იყო.

არაბეთის ძველ მწერლებიდან ერთ მწერალს აქვს ნათქვამი, რომ სახელგანთქმული მწერლის სახელი სჯობს, ვიდრე სახეო. აი სწორედ ჩვენ ხალხსაც ასე დაემართა; ეხლა ჩვენი ხალხი ამბობს, რომ ნეტავი ოსმალები ჩვენში არ შემოსულიყოო. და ჩვენ მათი სახელი შორიდან კარგათ მოგვეხსენებიანაო. ზოგი ჭირი მართლაც რომ მარგებელია. ხალხი შეიგნებს სიმართლე და ბედნიერება სად ყოფილაო, და ის შეუგნებელი მასა ამოძრავდება, გაიღვიძებს, შეიგნებს თავის შეცდომას და მერე ექნება დიდი ლტოლვა საქართველოსთან სამუდამოდ დაახლოვებისა.

დღეს ოსმალეთის ბეგები და აღალარები ქართველ მაჰმადიანებს დაცინვის კილოთი ეუბნებიან: თქვენ გურჯებოო—სწორეთ ცეცხლი მოპყრობა ჩვენ ხალხს აიძულებს, და ისინი ბოლოს შეიგნებენ, რომ მართლა ყოფილან ქართველები და არა თურქები. რამდენიც დრო გადის, იმდენათ უფრო მეტი იმედები გვესახება, ორი გათიშული ძმის შეერთებისა.

ამ 15 დღის წინად ოსმალეთის მთავრობამ ერთი დივიზია ჯარი უკან გაგზავნა სოფელ ალამბრიდან, მაგრამ იმდენი ჯარი კიდევ დარჩა, რომ ხალხის შევიწროება შესძლოს. ოსმალეთის მთავრობას ადგილობრივი მცხოვრებლების შესაშინებლათ, ჩვეულებად აქვს როზგის ხმარება.

ბათუმში ერთ აფხაზს 50 ჯოხის დარტყმა გადაუწყვიტეს. მან ასეთი დამცირება ვერ აიტანა, იძრო რევოლვერი და მტერი იქვე მოჰკლა, მაგრამ მერე ის საწყალიც თან მიაყოლეს ჯალათებმა.

ოსმალეთის მთავრობამ ქობულეთში რეფერენდუმის მოსახდენათ 15 დღის წინეთ სოფლებიდან მოიწვია მარტო მოხტრები, „სტაროსტები" და მოლები და მოაგროვა მარტო ეს „საზოგადოება" სოფელ ფიჭვნარში ყოფილ წითელ ჯვრის მოედანზე; ბათუმის გუბერნატორი მოვიდა და გამართა „სტაროსტებთან" და აღალარებთან თათბირი. შემდეგ გუბერნატორმა ხალხს მოუწოდა და უთხრა, რომ 40 წლის მონობიდან ჩვენ გიხსენითო; და ეხლა დადგა დრო, რომ თქვენი ბედი საბოლოოდ გადაწყდესო; თქვენ ხედავთ, რომ აქ მაგიდაზე ორი ყუთი დევს, რომელიც თეთრი არის, ის ნიშნავს მუსულმანობას და რომელიც მწვანეა ის კი ქრისტიანობასო; ვისაც მუსულმანობა უნდა, მუსულმანს მისცემს და ვისაც ქრისტიანობა უნდა, ის ქრისტიანებსო. ამ დროს ხალხის მტრებმა აღალარებმა დაიწყეს ხალხში ლაპარაკი, რომ ღმერთი არ გაგიწყრეთ და ხმა არ მისცეთ ქრისტიანებს, თორემ ყველა გაქრისტიანდებითო.

სანამ ხმის მიცემას დაიწყებდენ, ერთმა შეგნებულმა პირმა მოისურვა, რომ ხალხისთვის სიმართლე გაეგებინებია და კიდევაც შესძლო რამოდენიმე პირის მიმხრობა, დღეს აქ, როგორც გუბერნატორი ხალხს მოუწოდებს ისე არა სდგას კითხვაო. აქ სარწმუნოება არაფერ შუაშიაო, აქ არსებობს პოლიტიკური საკითხიო; და არ მოსტყუვდეთ და არ მისცეთ ხმა ოსმალებს, ყველამ მივცეთ ხმა ჩვენს ძმებს ქართველებსო, ჩვენი სიბედნიერე რესპუბლიკანურ საქართველოში არისო. ეს შეამჩნიეს და გუბერნატორმაც მიიწვია თავისთან და შეეკითხა: „შენ მუსულმანი ხარ თუ ქრისტიანი"-ო. პასუხი: „მე ქართველი მუსულმანი ვარ". გუბერნატორი: „ეხლა შენ მუსულმანობა გინდა თუ ქრისტიანობა" პასუხი: „მე მუსულმანობა [illegible] სულთანის, ფაშების და ბეგების მონობა არ მინდა". [illegible] განრისხდა და ასკერებს უბრძანა, რომ ეს კაცი ჟანდარმერიის უფროსს მიჰგვარეთო. შემდეგ მიიყვანეს ყუთთან ხმის მისაცემათ და მან იმდენი ხალხის წინაშე საქართველოს მისცა ხმა. ასკერი გამოვიდა და დაადგა თავზე; გუბერნატორმა უბრძანა ჟანდარმერიის უფროს, რომ 6 ასკერი გამოეძახნა და გაეყვანა ის შეგნებული პირი ერთი ბოძის ძირში. ასკერები მოვიდენ და ისეთი თვალებით იყურებოდენ ადამიანი იფიქრებდა, რომ ეხლა ეს კაცი თვალებით უნდა შესჭამონო. დატუსაღებული შეეკითხა ასკერებს, რათა მკლავთო. ასკერებმა უთხრეს, რომ შენ გინდა ქრისტიანობა შემოიტანო მუსულმანებშიო. ხალხის დასანახავ ადგილას მიიყვანეს ერთ ბოძის ძირში და აკრეს ხეზე, როგორც ჯვარი; იმ დროს, როდესაც ასკერები ბრძანებას ელოდენ, უცბათ ავტომობილით გერმანელი აფიცერი მოვიდა და ბრძანება მისცა, რომ შეაჩერეთო. გერმანელმა უფროსი ინახულა და გაანთავისუფლებია იგი ქართველი. გერმანელი აფიცერი, რომ არ მოსულიყო იმ შემთხვევაში ის თავისუფლების მებრძოლი და დაულალავი დარაჯი საქართველოს რესპუბლიკის უნდა ხალხის წინაშე დაეხვრიტათ ჯალათებს.

ჩვენ ხალხს ასეთმა ტრაღიკულმა მდგომარეობამ ძალიან დიდი გაკვეთილი მისცა და ხალხის სული და გული ეხლა ვისკენაც იქნება—ეს აშკარაა.

ირემაძე.

## საად.-მამულო რეფორმა

ქარელის რაიონი (გორის მაზრა). 26 მაისიდან ამ რაიონში მამულების მიმღები კომისია შეუდგა მუშაობას. ამ რაიონში დიდი უმეტესობა მემამულეებისა არიან ციციშვილები. ეს რაიონი შესდგება 9 საზოგადოებისაგან: ქარელის, ხვედურეთის, კეხჯვრის, ზღუდერის, რუისის, სკრის, ხიდისთავის, ატენის და ბობნევის საზოგადოებები 80-ამდე სოფლებით. ჯერ-ჯერობით კომისიამ მუშაობა მოათავა ქარელის და ხვედურეთის საზოგადოებებში. ქარელის საზოგადოებაში კომისიამ შეადგინა სულ 15 ოქმი. მემამულეებს დაუტოვა ხარისხის და მიხედვის გვარათ 143 დეს. 1630 ს. ამავე მემამულეებს ჩამოერთვა 485 დეს. 393 კ. ს. ამათში ებრაელის ხააკ მოშიაშვილის 51 დ. 120 კ. ს. მოვაჰრე იასონ და თომა ყიფიანებს 20 დ. 64 კ. ს. დანარჩენი მამულები ყველა ციციშვილებს ეკუთვნოდათ. ხვედურეთის საზოგადოებაში კომისიამ შეადგინა სულ 23 ოქმი. მემამულეებს დაუტოვეს 79 დეს. 245 ს. ჩამოერთვათ 1,118 დ. 465 კ. ს. ამათში ანნა ალექსანდრეს ასულს ამილახვარს მხოლოდ 59 დ. 1,170 კ. ს., დანარჩენები ციციშვილებს. სულ ორივე საზოგადოებაში ჩამოერთვა მემამულეებს 1603 დ. 858 კ. ს. დაეტოვათ 222 დეს. 1870 კ. ს. ამათში არიან ისეთი მემამულეებიც, რომლებმაც ერთ სოფელში მიიღეს თავიანთი ნორმა. 24 ივლისიდან კომისია მუშაობს კეხისჯვრის საზოგადოებაში.

„თუ მთავრობის გამოგზავნილმა კომისიამ ჩამოართვით მემამულეებს მამული, ბარემ ჩვენ მოგვიზომეთ ჩვენ-ჩვენი ნაწილი, რაც მოგვიწევს, თორემ თქვენ თავადებს უზომავთ შვიდ-შვიდ დესეტინას და ჩვენ როდის მოგვცემთ ჩვენ არ ვიცითო, და ეს იმას ნიშნავს, რომ რადგან მათ უზომავთ თქვენ თავადების გამოგზავნილი კომისია ხართო".

აი როცა კომისია მიდის სოფლებში და უნდა საქმე დაიწყოს პირველათ უეჭველათ გლეხობა ზემო-ხსენებული სიტყვებით მიმართავს კომისიას. კომისია, რასაკვირველია, უხსნის რომ ჯერ უნდა გაიგოს მთავრობამ რამდენი მიწებია ჩამორთმეული, რამდენი მშრომელი გლეხობა თუ მუშა ხელია და სხვადასხვა. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ დილიდან საღამომდი რომ ელაპარაკო ბევრს ვერ შეასმენ. მაგ., ხვედურეთის საზოგადოებაში ერთ სოფელში იყო ასეთი შემთხვევა: ორი დღე მოვუნდით ამ სოფელში დოკუმენტების შემოწმებას და გამოირკვა, რომ ამ სოფელში ყოფილა ხიზანი გლეხები. დოკუმენტიც აღმოაჩნდათ და როცა ავუხსენით კანონი ხიზნების შესახებ და წინადადება მივეცით, რომ ეჩვენებინათ ხიზნების მამული გამოგვიცხადეს, რომ მთელი სოფელი თითქმის, რომელიც შეიცავს 1000 დეს. ეს ყველა სახიზნოაო, რადგან ჩვენ ვსარგებლობთო, მაგრამ როცა ავუხსენით, რომ კანონის ძალით ნორმაზედ მეტი ჩამოგერთმევათქო, მეორე დღისთვის დოკუმენტი დაგვიმალეს, ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ კომისია წავა და ჩვენ დაგვრჩება მამულიო, მაგრამ შემდეგ როცა დარწმუნდენ, რომ კანონის წინაშე პასუხს აგებენ იძულებული გახდენ კომისიის წინადადება მიეღოთ. და ბოლოს აღმოჩნდა, რომ სახიზნო ყოფილა არა მთელი სოფელი არამედ—90 დესეტინამდე. ასეთი მაგალითები მა-

მულების მიმღებ კომისიას მრავალი ხვდება, რაიც, რასაკვირველია, აბრკოლებს მუშაობას. ძლიერ ხშირია შემთხვევა, რომ საზღვრების ნიადაგზე სოფელი სოფელს ეჩხუბება, მეზობელი მეზობელს და სხვა ასეთი მრავალი და ხშირათ კომისიას და მისი წევრებს ისეთ რამეებზედ უხდებათ მუშაობა, რომელიც თითქმის არც შეადგენს მათ მოვალეობას.

კომისია ხელწერილს ართმევს ზოგიერთ გლეხებს, რომ იმ მიწებზე, რომლებიც ჩამოერთვა მემამულეებს და საადგილ-მამულო კომიტეტების განკარგულებაში გადავიდა, გლეხები ვალდებულნი არიან მისცენ ამავე კომიტეტებს შესაფერისი გადასახადი, და როცა კომისიამ მიიღო მიწათ მოქმედების სამინისტროსაგან განკარგულება ერთი მეათედი მოსავლის გადასახადის შესახებ ჩამორთმეულ მიწებზედ, გლეხები ამ განკარგულებას სიხარულით შეხვდნენ ვისაც გამოუცხადეთ, მაგრამ ეს განკარგულება და გამოცხადება მარტო საკმარისი არ არის. საჭიროა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა ამ მხრივ.

ეს პირები ადგილობრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით ვალდებულნი არიან ჩამორთმეული მიწები გადასცენ დასამუშავებლათ გლეხობის ულარიბეს ნაწილს, და აგრეთვე საჭიროა რომ, სახალხო ქონებას ხალხი კარგათ მოექცეს. მაგრამ პირადი დაკვირვებით დარწმუნებული ვარ, რომ მარტო ასეთი ხელწერილების ჩამორთმევა და დარიგება საკმარისი არ არის და საჭიროა ვინმეც ჯერ არს ჩამორთმეულ მამულებს მეტი ყურადღება მიაქცეს. საზოგადოთ ამ მხარეში მოსავალი სარწყავ მამულებში კარგი არის, და ურწყავში ნაკლები, მაგრამ საშუალოთ გლეხობა მადლიერია მოსავლის.

ი. ბოლქვაძე.

## ჯარისკაცთა წერილები

მე 4-ხე პოლკის 1-ლი როტის ჯარისკაცები ვიმყოფებით ლეჩხუმის ფრონტზე. მოქმედება დაიწყო ჩვენმა ჯარმა 23 ივლისიდან და კარგ შედეგსაც მიაღწია. ბრბოები მალე გავფანტეთ არტილერიის დახმარებით და ძლევა მოსილად დავამთავრებთ ჩვენ მოქმედებას. სულიერი განწყობილება ჯარში საუცხოვოა, დისციპლინა მშვენივრად არის დაცული. ჯარისკაცები უფროსს, პოლკ. ინწკირველს, კარგათ უცქერიან და ამბობენ, რომ სადაც ჩვენ გვახლავს ჩვენი პოლკოვნიკი იქ გამარჯვებაც ჩვენსკენ იქნება. ჯარისკაცები, როგორც ჯაჭვის რკინის რგოლები, ისეთი ერთსულოვნობით არიან გაჟღენთილი და ამიტომ გამარჯვებაც მუდამ ჩვენსკენ იქნება.

ჯარისკაცი სილიბისტრო ლომაძე.

---

უმორჩილესათ გთხოვთ ამ პატარა წერილს ალაგი დაუთმოთ თქვენს გაზეთში.

ბათუმის დაცემის წინა თვეებში მიხეილის საციხოვნო ბატარეის ჯარის კაცებმა მე 3 მე როტაში დავაარსეთ სამკითხველო, რომლის გამგეთ სხვა ორ პიროვნებასთან ერთად მეც ვიყავი არჩეული, დაეცა ბათუმი, და სამკითხველოსთვის საარსებოთ ამხანაგებში მოგროვილი ფული 130 მან. და 32 კაპ. ყოველ გაწეულ ხარჯების გარდა დამრჩა მე; იძულებული ვიყავი ეს ფული გადამეცა რაიმე საკულტურო დაწესებულებისათვის ეხლა ვაცხადებ ყველა ამ როტაში მყოფ ამხანაგების საყურადღებოთ, რომ ეს ფული, ერთ გამგეობის წევრთან შეთანხმებით გადავეცი ახლად შემდგარ ჯავშნიან მატარებელ № 2 ის „კომანდას“, რომ მოახმარონ თავიანთ ჯავშნიანზე გახსნილ სამკითხველოს და ხელი შეუწყონ მათში განვითარებას.

ვთხოვ ყველა ამ ამხანაგებს, რომლებმაც ნდობა გამომიცხადეს, თავის დროს ზემო აღნიშნულ როტაში, იქონიონ ეს მხედველობაში.

ჯავშნიანი მატარებელი № 4.

ჯარისკაცი დათიკო გოგუაძე.

## ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 24 ივლისს შესდგა წესამე რაიონის შეერთებული კრება. დაესწრო 400 წევრი. დღის წესრიგში შემდეგი კითხვები იყო: 1) კოლექტივის ხელმეორეთ არჩევა; 2) მოხსენება კოლექტივის მუშაობაზე; 3) მოხსენება კოლექტივის ანგარიშებზე; 4) გამორიცხვა ზოგიერთ წევრებისა და 5) მოხსენება მომენტზე. კრებამ პირველად მოისმინა მოხსენება კოლექტივის მუშაობის შესახებ. მოხსენება გააკეთა ამხ. გ. კალანდაძემ, რომელმაც მოკლეთ განუმარტა კრებას ექვსი თვის მუშაობა კოლექტივისა. კოლექტივის ანგარიშების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ა. თუმანიანი. მან გააცნო კოლექტივის ანგარიშები კრებას, რომელმაც მიიღო და დაადასტურა ის. აირჩა ახალი კოლექტივი შემდეგი პირებისაგან: ს. შუბლაძე, ს. ჟღენტი, პ. ბოკერია, გ. მეხიშვილი, ა. კოკელეიშვილი, ნ. გოგორიშვილი, ე. ლორია, ა. თუმანიანი, ვ. კალანდაძე, ა. ვაშაკიძე, გ. კვერნაძე, მ. ზანძავა, რ. შუბლაძე, ბ. ყაზარიანი, ა. მეგრაბიანი, მ. ჩალიძე, ა. ლიტანოვი, ივ. ცომაია, დოგრაშვილი, კ. არიმჯანოვი, ა. მარქარიანი. კოლექტივის წევრების კანდიდატები: ახვლედიანი, ს. პაიჭაძე, ივ. ნადირეიშვილი, გ. აბხაზავა, ს. ჟღენტი; თფილისის კომიტეტის წევრები: ამხ. ვარლამ კალანდაძე, ევტიხი ლორია, ივ. ნადირეიშვილი; კანდიდატათ: ა. მარქარიანი; სარევიზიო კომისიის წევრები: ნ. იმნაიშვილი, ა. რაზმაძე, ს. ეგიკოვი. წინანდელ კრებაზე დანიშნული იყო კომისია, რომელსაც ევალებოდა პარტიიდან არა საიმედო პირების გამორიცხვა, მაგრამ ჯერ ჯერობით კომისიას ეს საქმე სისრულეში ვერ მოუყვანია. კრებამ ისევ დაავალა ძველ კომისიას ამ მხრივ, რაც შეიძლება, ენერგიულად იმოქმედოს და გადასცეს დადგენილება ახალ კოლექტივს. მომენტზე მოხსენებას აკეთებს გ. კალანდაძე. კრებამ ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ვაწონებთ მთავრობის ნაბიჯებს, რომელნიც მიმართულია რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნებისაკენ, შევქმნათ ძლიერი ორგანიზაცია და განვამტკიცოთ ხალხის პოლიტიკური ბატონობა“.

ი. მეგრელიძე.

---

**გორის მაზრაში მომუშავე პარტიული ამხანაგების საყურადღებოთ.** გორის მაზრის ს. დ. მ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით, ხსენებული კომიტეტის პრეზიდიუმი, გორის კოლექტივის თანხმობით გატყობინებთ შემდეგს:

საოლქო კომიტეტმა მთელის გადაჭრით დასვა საკითხი ჩვენი პარტიული ორგანიზაციების აღდგენის შესახებ. ამ მიზნით მან შესაფერი ქაღალდი გამოგვიგზავნა და სხვათა შორის, ჩვენგან მოითხოვს პასუხს მთელ რიგ კითხვებზე. ეს კითხვებია: 1) როდის იყო ორგანიზაციაში ყველაზე უფრო დიდი რიცხვი პარტიის წევრებისა; 2) როდის იყო ორგანიზაციაში ყველაზე უფრო მცირე რიცხვი პარტიის წევრებისა; 3) რით აიხსნება ეს სიმცირე ან სიმრავლე პარტიის წევრებისა ორგანიზაციაში; 4) რა სალარი აქვს ორგანიზაციას; 5) რა არის საჭირო პარტიის გასაძლიერებლად და 6) ვინაა ორგანიზაციის ხელმძღვანელი (ორგანიზატორი, პროპაგანდისტი, ასისთავი და სხვ.); ამიტომ დღეს, აგვისტოს 1-ლს, დღის 3 საათზე, გორის მაზრის ს. დ. მ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ვიწვევთ გორის მაზრის ყველა რაიონებიდან ამხანაგებს და თანამგრძნობთ გორში ყრილობაზე სამაზრო შტაბის დარბაზში. ყველა პარტიულ ამხანაგებს ვთხოვთ დაესწრონ ყრილობას და გაგვაცნონ მდგომარეობა მაზრისა. გასარჩევია საკითხები: 1) პარტიულ-კულტურული მუშაობის გაძლიერება; 2) ეხლანდელი ტაქტიკა და მიწის საკითხი და 3) ერობის არჩევნები და სხვა საკითხები. სხვათა შორის, პარტიის ცენტრი გთხოვთ დაამზადოთ პასუხები იმ კითხვებზე, რომლებსაც საოლქო კომიტეტი გვიყენებს.

ამ ყრილობას თფილისიდან ესწრებიან საოლქო კომიტეტის მიერ გამოგზავნილი მომხსენებლები.

ყველა მოსული ამხანაგებისთვის ბინა უზრუნველყოფილი იქნება.

ამხანაგური სალამით **გორის მაზრის ცენტრალ. კომიტ. ს. დ. მ. პარტიისა.**

## მუშათა შორის

**თფილისის ტრამვაი.** ყველასათვის ცხადია, თუ რა აუტანელი გასაჭირი ადგია ეხლა თფილისის მუშებს და კიდევ უფრო ტრამვაის მუშებს. როცა ბაზრის ან და სადილის დრო არის, მაშინ ვაგონებზე მუშაობა გვაქვს და როცა გამოიცვლება, მაშინ კი ვერაფერს ვერ შოულობ ბაზარზე გასასყიდს. ნახევარზე მეტჯერ მშიერი გვიხდება დარჩენა. ამას მიაქცია ყურადღება რამოდენიმე ამხანაგებმა და მოინდომეს საშუალების გამონახვა, რომ რამოდენიმეთ მაინც შეუმსუბუქდეს მუშებს ამა თუ იმ საჭირო საგნების შეძენა. ამ მიზნით აპირებენ სასადილოს გაღებას ტრამვაის პარკში. გავეღეთ პარკში სადალაქო, მოვიწვიეთ კაცი, რომელსაც დავაკისრეთ, რომ თავის და პირის მოპარსვაში მას ნება აქვს მოითხოვოს 1 მ. 50 კ. და მარტო მოპარსვაში 1, მან.

30 ივლისს მოგროვდენ სადალაქოში ბატონი კონტროლიორი ზუბიევი, უფროსის თანაშემწე ზურაბიშვილი, მორიგი კონტროლიორი მუმლაძე და ჯანგირაშვილი და ასტეხეს განგაში: ატყუებენ ხალხს, ეგერ მიხაილის ქუჩაზე უფრო იაფათ ჯდება, აქ სრულებით საჭირო არ არის სადალაქო და თუ საჭირო იქნებოდა, ჩვენ გავაღებდით და სხვა.

ზოგიერთი ვაჟბატონების მოქმედებას, რომ დააკვირდები კაცი, გაოცებაში მოდიხარ, როცა შენ გააკეთებ რასმე, გიწუნებს, ხალხს აღელვებს, თითონ კი არაფერს არ აკეთებენ. ზ. ზურაბაშვილი ასე ჰპირდებოდა მუშებს: მე ამირჩიეთ სასურსათო კომისიაში და ყველაფერს მოვიტანო, მაგრამ როცა ის ავარჩიეთ ოთხი ათასი მანეთი ზარალი გვიჩვენა, რომელზედაც ჯერაც პასუხი არ მიუცია. შეიძლება ამ მიზნით უნდოდათ, რომ სადალაქოც მათ საწყალ ფურათ გაეხადათ, მაგრამ ეს არ მოხდება. ჩვენ გვინდა ჩვენი თავის სასარგებლო დალაქი და თუ ეს არ გამოდგება, რომელიც ეხლა არის იმას გავუშვებთ და სხვას მოვიყვანთ.

ბასილეთელი.

## პროვინცია

**ძოდალის რაიონი** (კახეთი). ეს რაიონი 15 სოფლიდან შესდგება. ბუნება მდიდარი და ლამაზია. სახნავ-სათესი ადგილები ბლომათ არის. მოსავალი გასულ წელსაც საშუალო ყოფილა, ხოლო წელს ყველა ამბობს, ორი წლის საყოფი მოვიდაო. პური უკვე მოიმკა და ილეწება, მაგრამ ფასი მაინც დიდია. აქაური გლეხობა, გარდა მცირე გამონაკლისისა კარგად სცხოვრობს.

მიწის საკითხი სოფელს თავისებურათ უკვე გადაუჭრია, აუღია და ხელ აღებით დაუტაცნია მიწა უმეტესად შეძლებულ გლეხებს. მემამულისთვის არაფერი არ დაუტოვებიათ. და როცა მიმღები კომისია მემამულეს 15 დესეტინა მიწას უზომავს, ხალხი ამბობს, მთავრობის კომისია თავადებს მიწას ურიგებსო. კომისიას თავადების მიწები უკვე მიუღია. დარჩენილა მასლები 8—10 მემამულე გლეხის მიწა. გლეხებიდან მიწების მიღება უფრო ძნელდება, ვიდრე თავადებისაგან. ეს უკანასკნელნი უმეტესად არა სჩანან გლეხების შიშის გამო. მთელ რაიონში ორიოდე სკოლაა და იქაც არავინ სწავლობს. თითქმის, წიგნთსაცავ სამკითხველოები არ არის, გაზეთებს ვერ ნახავთ წერა კითხვის მცოდნე ცოტაა.

აქ ხშირად გაიგონებ ლაპარაკს სოფ. ფხოველის ნავთის შესახებ. საქმე იმაშია, რომ ამ სოფელში რამდენიმე წლის წინად შეუმჩნევიათ ნავთი. ომის წინ კიდეც მოსულან იქ რომელიღაც კომპანიის წარმომადგენლები, დაუწყიათ მუშაობა, ამოუთხრიათ ჭები, გაუკეთებიათ მოწყობილობები, ასი ათასობით ფული დაუხარჯავთ. მაგრამ ომს მოუსწრია და ყველაფერი მიუტოვებიათ. ჭებში თურმე მაზუთი ეხლაც ბლომათ არის. არ იქნება ცუდი, მთავრობა მიაქცევდეს ამას ყურადღებას და გამოგზავნიდეს მცოდნე პირებს.

მთელი ეს რაიონი სარგებლობს პლატფორმა კაჭრეთით. მოგზაურები აქ მეტია, ვიდრე ზოგ სადგურებზედ. ამავე დროს პლატფორმაზე ხალხს უხდება პატარებლის ცდა მზესა და წვიმაში. ძნელია ეს ამ პაპანაქება სიცხეებშიც, მაგრამ კიდევ უარესია ზამთარში. კარგი იქნება რკინის გზა, ან თვითონ ხალხი, რაიმე თავშესაფარს გააკეთებდეს პლატფორმაზე.

ზ—რო.

---

**სოფ. გორა - ბერეჟოული** (გურია). ივლისის 21-ს დღითი ადგილობრივ დარბაზში გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენა ვერ ჩატარდა კარგად, არავითარი წესრიგი არ არსებობდა და ხალხი უკმაყოფილო დარჩა.

წარმოდგენა თუ იმართება პროვინციაში, მისი შემოსავალი უნდა მოხმარდეს საერთო საქმეს: სოფლის რომელიმე კულტურულ დაწესებულებას, მით უმეტეს, რომ ჩვენში ასეთი დაწესებულებანი მეტად ღარიბია ნივთიერად და ზოგ კერძო პირების ხელში გადავიდეს. ამ მოვლენას საჭიროა ყურადღება მიაქციონ ჩვენი სოფლის სცენის მოყვარეებმა: დასდგან კარგი წარმოდგენები, წესიერათ და სინდისიერათ ჩაატარონ ის ხალხისავე საკეთილდღეოთ.

ელისაბედიშვილი.

---

**სოფ. დიდი-ლილო** (თფ. მაზრა). სოფ. დიდი-ლილო 12 ვერსითაა ტფილისზე დაშორებული; დასახლებულია, ქართველებით, სომხებით და ოსებითაც სულ 160 კომლია და აქვთ ურთიერთ შორის ძმური განწყობილება, სულ ყველანი ქართულად ლაპარაკობენ. ეს სოფელი ჰაერისა და წყლის სისაღით განთქმულია თფილისის მაზ. მოსავლის მხრივაც საშუალო ალაგი უჭირავს, მხოლოდ პურის მკის დროს დიდი ქარების მიზეზით მცხოვრებთ ხელი ეშლებათ. სწავლა განათლებით სამწუხაროდ უნდა ითქვას ძლიერ ჩამორჩენილია, რაც ხელს უწყობს ბნელი ძალების მუშაობას. 28 მკათათვეს აქ ერობის არჩევანი უნდა მომხდარიყო, თუმცა ძლიერ გულცივათ იყვნენ ამ არჩევანზე მაგრამ რო გაიგეს თუ ერობის რა ქონებისა და სწავლის შეძენა შეუძლია მათთვის, ერთხმათ დაადგინეს არჩევანი მომხდარიყო და ხმა მიეცათ ს.-დემოკრატების კანდიდატებისათვის, როგორც მათთვის ცნობილ ჩაგრულთა მოამაგე პარტიისათვის, მაგრამ სამწუხაროდ მცხოვრებთა აღწერის სიები აღარ აღმოჩნდა და უმისოდ კი მოწინააღმდეგე მხარემ პროტესტი განაცხადა, თან დაიმუქრა: „სულ ერთია გავასაჩივრებ და ჩავშლიო“; ამ მიზეზით არჩევანი მომავალ კვირისათვის გადაიდო, მანამდის კომისია მწერლის და ღვდლის დახმარებით სრულ ხმის მიმცემთა სიას შეადგენს და მაშინ კი საპროტესტო არავის არაფერი ექნება, თუმცა სიის შეუდგენლობაში იმ პროტესტანტსაც უდევს წილი. მით უმეტეს მან იცოდა ადრევე თურმე, რომ ძველი სია დაკარგულიყო და ახალი უნდა შემდგარიყო და როგორც ამ სოფლის მუდმივ მცხოვრებს შეეძლო ეს საქმე მოეგვარებია; შემდეგისთვის მაინც იმედია ესეთ გულცივობას არ გამოიჩენენ და მით სახალხო საქმეს აღარ დააბრკოლებენ.

დ. ი. ლორთქიფანიძე.

## წერილი რედ. მიმართ

„ერთობის“ მე-83 ნომერში მოთავსებულია ცნობა, ვითომც მე ვინტოვკა მიმეყიდოს თათრებისთვის და ამიტომ დავეხვრიტე. ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია. მართალია, ეს მომიგონეს მე მტრებმა, მაგრამ სამტრედიის რევოლიუციონურ ტრიბუნალმა გამამართლა და შეარცხვინა მათ, ვისი დაბეზღებითაც უდანაშაულოთ დავისაჯე და გაზეთიც შეცდომაში შეიყვანეს.

შალვა გოგიჩაიშვილი.

---

გაზ. „ერთობის“ მე-158 № ში მფრინავი რაზმის შესახებ ვინმე „ერთი რაზმელთაგანი“-ს წერილია მოთავსებული, რომელიც აღწერს რა რაზმის ისტორიას და მას დღევანდელ მდგომარეობას, სხვათა შორის, ამბობს: „ვხედავდით ამნაირ მდგომარეობას და სიტყვა ვერ გვეთქვა“. მე მაკვირვებს „ერთი რაზმელთაგანის“ აქ მოყვანილი სიტყვები. თუ ვინმე ხედავდა, რომ ის ქონება, რომელიც მე თითონ შევაგროვე რაზმისთვის, იფლანგებოდა, რატომ არავინ მითხრა. არა ერთხელ და ორჯელ მომიხდენია რაზმელების საერთო კრება, რომელზედაც გვქონია მსჯელობა რაზმის არა-სასურველი ელემენტებისაგან გაწმენდის შესახებ და, საზოგ., რაზმის სასურველ ნიადაგზე დაყენების შესახებ. რატომ ერთხელ მაინც არავინ მითხრა, რომ რაზმის ქონება იფლანგება. ყველამ იცოდა, რომ ჩემი სახლის კარები ღია იყო მათთვის, ვინც სიტყვით, თუ საქმით დახმარებას გამიწევდა რაზმის მოწყობაში. რაზმის ქონების გაფლანგვის შესახებ მე პირველად გავიგე ამ ორი კვირის წინათ რაზმის კანცელარიაში, სადაც იმ დღეს შემთხვევით მოვხვდი, ესე იგი მაშინ, როდესაც მე უკვე თხოვნა მქონდა მიცემული ჩემი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, ასე რომ იმ დღეს მე ფაქტიურად აღარ ვასრულებდი კომისარის მოვალეობას. გავიგე თუ არა ეს ამბავი, მე იმავე წუთში, კანცელარიიდანვე, ვაცნობე ტელეფონით ამის შესახებ გუბერნიის კომისარის მოვალეობის აღმასრულებელს ბ-ნ მაღლაკელიძეს, რომელმაც, რამდენათაც მე ვიცი, მაშინათვე დანიშნა რევიზია. როდესაც აღშფოთებული რაზმელები შემოვიდენ ჩემთან კანცელარიის ოთახში და ხმამაღლა ლაპარაკი დაიწყეს, ამნაირ მათ შემოსვლას და ქცევას მე, მართალია, ვუწოდე „ბოლშევიკური მოქმედება“, რაზედაც თვით რაზმელები დამეთანხმენ. რაც შეეხება რაზმის „გაწმენდას“, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს აღვნიშნო, რომ რაზმის არასასურველ ელემენტებისაგან გაწმენდაში, სხვებთან ერთად, დიდი დახმარება გამიწიეს იმათაც, რომელთ მოქმედებას მე „ბოლშევიკური“ ვუწოდე და რომელთაც, როგორც ყოფილი გუბერნიის კომისარი ვუცხადებ ამისთვის ჩემს უღრმეს მადლობას.

ყოფილი გუბერნიის კომისარი

კ. ჯაფარიძე.

---

1 ივლისს სად. ლანჩხუთში ჩვენებური ბონის დახურდავების დროს ერთ უცნობს უდიერად შეველაპარაკე და შევეხე ჩვენს მთავრობასაც არა-საკადრისად, რისთვისაც იქვე დამსწრე მოქალაქე სიმონ მაქსიმეს ძე სადრაძემ შესაფერი ოქმი შემიყვანა, როგორც რკინის გზის კომიტეტის მდივანმა, დღეს მე სავსებით ვგრძნობ რომ დამნაშავე ვიყავი და ვითხოვ პატიებას, ვაღიარებ რომ გულმოსული რომ არ ვყოფილიყავ ასეთ უკმეხ სიტყვებს არ ვაკადრებდი იმ მთავრობას, რომლის ერთგული ქვეშევრდომი ვარ

სამსონ კილაძე.

## ცნობები

**მოკლული ჯარისკაცები პირველ ქართულ მსროლელთა პოლკის მცხეთაში პირველ ბრძოლაში ბანდასთან.**

აკაკი მიქელაძე ს. კულაში ქუთ. მაზრა, მოკლულია, (როცა ტყვედ ჩავარდნიათ მაშინ მოუკლავთ).

— შალვა ხვედელიძე (ავათაა, კავკავში დარჩა).

— ალექსანდრე ხვედელიძე (მოკლულია).

ეს ცნობა გადმომცა ტყვეობიდან განთავისუფლებულმა ჯარისკაცმა. პოდპ. ალ. ყენია.

— ჯარისკაცი კონსტანტინე სიმონის ძე ჰიპაშვილი მსახურებდა მე 16 კავკასიის მსროლელთა პოლკში მე 2 როტაში მე-3 „ვზვოდში“ 1916 წელს მარიამობისთვეს აქეთ არავითარი ცნობა არ გვაქვს თუ ვინმემ რაიმე იცის ვთხოვ მაცნობოს შემდეგი მისამართით: ბელაგორი, ბიქტორ სიმონის ძე ჰიპაშვილი.

## ანგარიში

ხაშურის რაიონის ს. დ. მ. პ. კომიტეტისა 1-ს მაისიდან 1917 წლისა ვიდრე 1 ივლისამდე 1918 წ.

| შემოსავალი | მან. | კაპ. |
| --- | --- | --- |
| საწევრო გადასახადი | 2805 | 30 |
| შემოწირულება სხვ. დასხვ. პირ. | 798 | 49 |
| წარმოდგენებიდან ლექციიდ. | 1409 | 57 |
| დამფუძნ. კრებ. ფონდისათვ | 2266 | 16 |
| საწევრ. წიგნაკ. გაყიდვიდ. | 35 | 40 |
| სტამბიდან | 1618 | 35 |
| კიოსკიდ. წიგნებ. ბროშურებ. | 971 | 50 |
| გაზეთების | 1600 | 00 |
| ინვენტარის ფონდისათვის | 186 | 50 |
| სასადილოდან | 1411 | 55 |
| მარიამიძიდან დაბრუნებ. | 130 | 00 |
| ბ. ყაჭიშვილიდან ავანს. წაღებ. | 183 | 26 |
| ჯ ა მ ი | 13416 | 08 |

| გასავალი | მან. | კაპ. |
| --- | --- | --- |
| საწარმოვო წვრილ. ხარჯები | 132 | 87 |
| ხამგზავრ. პარტ. სიეზდ. გორში, თფილ. და პეტროგრად. | 1397 | 60 |
| კიოსკ. მოსაწყ. წიგნებ. ბროშურ. საყიდ. | 1345 | 20 |
| მოსამსახურეთა ჯამაგირები | 1830 | 12 |
| სტამბისათვ. ალებ. ვალი იჯარა | 400 | 00 |
| „ „ „ „ | 560 | 00 |
| ინვენტარის შეძენა | 291 | 50 |
| დახმარება ავათმყ. გომართელს | 100 | — |
| ტელეფ. ბინის იჯარა | 200 | 00 |
| სტამბისათვის ქაღალდები | 169 | 35 |
| გაზეთების გამოსაწერი | 1566 | 80 |
| გათბობა და განათება პარტიულ. კლუბის | 472 | 72 |
| პარტიულ. კლუბის რემონტი | 372 | 60 |
| გაიგზავნა თფ. პარტ. სტამბ. % | 100 | 00 |
| გორის ცენტრში. | | |
| თფილის. საოლქ კომ. საწევრ. ფული პროცენ. | 712 | 00 |
| დამფ. კრებ. საარჩევ. ფონდ. პროც. ქალაქში და გორში | 500 | 00 |
| დამფ. კრებ. საარჩევ. ხარჯ. | 516 | 70 |
| ახალგაზრდა მარქს. ორგ. სესხ. | 100 | 00 |
| სასადილოსათვის | 2009 | 62 |
| ჯ ა მ ი | 12827 | 08 |
| 1 ივლისს კასაში არის | 589 | 00 |

კომიტ. ხაზინადარი ა. კორძაია.


## სასწრაფოთ ისყიდება

ურემი წყვილი ხარებით რუსული ჯიშისა. იკითხეთ ოლღას ქუჩა, № 14, ბინა აბგარიანისა, ტატეოსიანცი. (1—)

**ექიმი ი. გ. კონიევი.**

იღებს შინაგან სნეულებით ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდისუბნის ქ. № 3. (24—3)

**სამკურნალო კაბინეთი**

**ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი**

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნორ“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26

## კერძო მიხეილისეული საავადმყოფო

მუდმივი ლოგინებით, ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან მიხეილის პროსპექტი, 167.

**ექიმი ლ. ი. ცაგარელი.**

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ.—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიევის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—82.

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტის შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველდღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. მისამართი: ნიკოლაზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 17—49.

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, სალ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

**ექიმი ვ. კლდიაშვილი.**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კიროჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაჟთლის სამკურნალოში იღებს ყოველ-დღეს 12—2 საათამდე.

**ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-საბაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82. ტელ. № 9—26.

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

**ექიმი გ. მ. მუხაძე**

იღებს სალოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფთიაქთა გაერთიანების საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77

**გაიხსნა თვალის სამკურნალო**

(მუდმივი საწოლებით)

პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის ყოფილი ასისტენტის

## ექიმ დონხინისა.

იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილით 9—1 საათ. და საღ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლონს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.

## მეორე ქართული (ხარფუხისეული) კლუბი

მიხეილის პრ., № 129.

ხუთშაბათს, 1 მარიამობისთვეს 1918 წ.

„ქართველ მომღერალთა გუნდი“ მიხეილ ქავსაძის ლოტბარობით

მართავს 3 განყოფილებათ

## — სახალხო კონცერტს —

გუნდი შეასრულებს ძველ სახალხო სიმღერებს და სხვათა შორის „თამარ ქალს“ და სხვას.

მონაწილეობენ: ძმ. კავსაძენი, ჯანდიერი, უსტიაშვილი, სადირაშვილი, ინასარიძე და სხვანი.

გამგე: ნიკო კავსაძე. დაწვრილებით პროგრამებში.

დასაწყისი საღ. სრულ 7 ნახ. საათზე. (1—1)

## სახელმწიფო თეატრი

საჭიროა ოპერის ხოროსათვის მღერველები მამაკაცები. ხმების გასინჯვა 5 საათიდან 6 საათამდის სახელმწიფო თეატრში, ყოველ დღე. 3—2

## განცხადება

სურფ-კარაპეტის აღმართზე, მუხრანის ხიდის მახლობლათ ისყიდება სარდაფი სრული თავის მოწყობილობით. მსურველთ ყოველ დროს შეუძლიათ ცნობა მიიღონ აქვე. (2—2)


სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის პრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.

მსწრაფლ მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.